ჟურნალი

1948 წ.

№ 12

140/1948/2

№ 12 დეკემბერი 1948

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა
„კომუნისტი"

წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)

საქართველოს ალკკ XVII ყრილობა

25-28 დეკემბერს მიმდინარეობდა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XVII ყრილობა.

ეს ყრილობა დიდი მოვლენა იყო რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობას და მისი სახით რესპუბლიკის მთელს კომკავშირს ჩააბარა XVI ყრილობიდან განვლილი — 3 წლისა და 10 თვის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავას საანგარიშო მოხსენებაში ნათლად არის ნაჩვენები საქართველოს კომკავშირის საქმიანობა მთელი მისი სახელოვანი წარმატებებით. ამავე დროს მოხსენებაში და შემდეგ მის გარშემო გამართულ კამათში, ამ დიდ წარმატებებთან ერთად, აღინიშნა მუშაობის ზოგიერთი ნაკლოვანებაც.

ყრილობაზე ვრცელი, საპროგრამო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ახალგაზრდობის აღმზრდელი და მასწავლებელი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ყრილობამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი 75 წევრისა და 25 კანდიდატის შემადგენლობით; სარევიზიო კომისიაში აირჩია 11 წევრი.

საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელეგატად არჩეულია 46 კაცი.

* * *

28 დეკემბერს შემდგარმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა, რომელმაც საორგანიზაციო საკითხები განიხილა, — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ი. ზოდელავა, მეორე მდივნად — დ. რომელაშვილი, მდივნად კადრების დარგში — კ. გურგენიძე, მდივნად პროპაგანდის დარგში — ა. კინწურაშვილი, მდივნად სკოლის დარგში — მ. ჟორჟიკაშვილი.

პლენუმმა აგრეთვე დაამტკიცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და ახალგაზრდული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები.

* * *

საქართველოს ალკკ XVII ყრილობის დაწვრილებით ანგარიშს გამოვაქვეყნებთ ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 დეკემბერი

მეშვიდეკლასელები სწავლობენ საგანს, რომელსაც „სსრ კავშირის კონსტიტუცია“ ეწოდება. უმცროსებსაც გაუგონიათ ეს სიტყვები. ჩვენ ყოველ წელს ვზეიმობთ 5 დეკემბერს — სტალინური კონსტიტუციის დღეს.

სტალინური კონსტიტუცია ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების ძირითადი კანონია. მასში ჩაწერილია ყველა ის უფლება, რაც ხალხმა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში.

ეს უფლებებია ის, რომ თქვენ სწავლობთ, ისიც, რომ თქვენ გაქვთ პიონერთა სასახლეები, ტექნიკური სადგურები, საბავშვო რკინიგზები; რომ თქვენ ზაფხულს პიონერთა ბანაკებში ატარებთ; ისიც, რომ თქვენს მამებს აქვთ სამუშაო, რომ დედებიც, მათთან ერთად, სახელმწიფო საქმიანობაში არიან ჩაბმულნი, რომ მიწა, წყლები, მატარებლები გემები, წიაღისეული სიმდიდრეები ხალხს ეკუთვნის და წარმოადგენს სოციალისტურ საკუთრებას, რომ მთავრობას ირჩევს ხალხი, ირჩევენ თქვენი მამები და დედები, თქვენი უფროსი და-ძმები, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ.

ზოგიერთი თქვენგანის მამა ან დედა, უფროსი და ან ძმა უთუოდ არის დეპუტატი — ხალხის წარგზავნილი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, ხალხის მსახური.

შრომის, განათლების დასვენების უფლებები, უფლებები აირჩიონ და არჩეულ იქნან, — აი, რა არის ჩაწერილი და დაკანონებული სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც 12 წლის წინათ, 5 დეკემბერს, დაამტკიცა საბჭოების სრულიად საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობამ. მისი შემომქმედია დიდი სტალინი. ამიტომ ხალხმა მას სტალინური კონსტიტუცია უწოდა.

თქვენ გყავთ უფროსი ძმები. ბევრი მათგანი საბჭოთა არმიაში მსახურობს, ბევრსაც დიდ სამამულო ომში მიუღია მონაწილეობა ოა მკერდს ორდენები და მედლები უმშვენებს.

ისინი იცავდნენ და იცავენ სამშობლოს.

სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილია საბჭოთა ადამიანების ეს უპირველესი მოქალაქეობრივი მოვალეობაც — სამშობლოს დაცვა.

საბჭოთა მეომრები იცავენ ნორჩი თაობის სიცოცხლესა და ბედნიერებას.

მაგონდება ასეთი პატარა ამბავი დიდი სამამულო ომის დღეებიდან:

* * *

— „გერმანელი ოკუპანტები მხეცურად ეპყრობიან მათ მიერ დაკავებული რაიონების მცხოვრებთ. სმოლენსკის ოლქის სოფელ საჩკოვოში გერმანელებმა მთლად წაართვეს გლეხებს პირუტყვი, პური და ტანისამოსი. ფაშისტები ბავშვებიანად ხვრეტენ ქალებს, რომლებიც ცდილობენ პროტესტი განაცხადონ ძარცვისა და თვითნებობის წინააღმდეგ...“

პოლიტხელმა ძირს დაუშვა გაზეთი. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ტყეში ყინვით დამზრალმა ხმელმა ტოტებმა გაიტკაცუნეს. აქა-იქ გაისმა ჯარისკაცების მძიმე ამოოხვრა.

— მეომრებო, — შესძახა პოლიტხელმა მცირე პაუზის შემდეგ. ძახილი ტყემაც განიმეორა. — ამას გვატყობინებს 5 დეკემბრის გაზეთი! თქვენ გახსოვთ 5 დეკემბერი. საბჭოთა ხალხმა შარშან ამ დროს მშვიდობიან ვითარებაში იზეიმა სტალინური კონსტიტუციის დღე...

ეს იყო 1941 წლის დეკემბერში.

გავიდა ხანი. კვლავ დადგა ზამთარი. შურისძიებით სავსე საბჭოთა მეომრები მიიწევდნენ წინ, ათავისუფლებდნენ ჩვენს მიწა-წყალს. მეც ფრონტის ხან ერთ უბანზე მოვხვდებოდი, ხან მეორეზე. ბევრი ამხანაგი დაეცა, ბევრიც შემოგვემატა...

როგორღაც ისე მოხდა, რომ წილად მხვდა სხვებთან ერთად ბრძოლით გამეევლო მიდა-

4570

მოები სმოლენშჩინისა, რომლის შესახებაც პოლიტხელმა ამ ერთი წლის წინათ წაგვიკითხა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა. სოფელ საჩკოვოს სახელი იქნებ ამოშლილიყო კიდეც ჩემი მეხსიერებიდან, რომ ახალ მეთაურს არ გავეოცებინე:

მორიგ იერიშზე გადასვლის წინ თოვლზე გაწოლილი ვიყავით და წინ გავცქეროდით მკვდარ სივრცეს. თოვლს რაღაც სილურჯის ფერი გადაჰკრავდა და კამკამებდა.

— ოცეულო, — დაიწყო ნაყვავილარმა მეთაურმა ჩახლეჩილი ხმით,—ისმინე ბრძანება: ჩვენს წინ სოფელი საჩკოვოა...

„საჩკოვო!"—განვიმეორე ჩემთვის. მე მინდოდა გაოცებისაგან მეყვირა: „ამხანაგებო, ეს ის საჩკოვოა, რომელზედაც შარშან..." მაგრამ გონს მოვედი — მომაგონდა, რომ ჩემს ირგვლივ სულ ახალი მეომრები იყვნენ...

მეთაური დინჯად, დამარცვლით განაგრძობდა:

— სოფელს უნდა შემოვუაროთ მარცხენა ფლანგიდან. მხარს გვიჭერს პეტროვის ოცეული ორი დაზგის ტყვიამფრქვევით...

მე არ აგიწერთ სოფლის აღებას. სოფელი უკვე აღარ იყო, ადრევე გადაებუგათ გერმანელებს. ოდესღაც ლამაზი, მდიდარი, თავისუფალი რუსული სოფელი შეუცვლია მავთულხლართებს, ტრანშეებს, ბლინდაჟებს, მარჯვნივ ფიჭვნარის დიდი ტყე იყო, წინ არყის ჭალა. ახლოს იყო ვარშავის გზა, ცილი, გუგუნი გვესმოდა იქიდან...

ბრძოლის ამ დავიდარაბაში ერთმა მებრძოლმა მომახედა. „შეხედე!"—მითხრა მან. ჩემი მზერა შეჩერდა... ცალ ფეხსაცმელზე! იგი არყის ხის ძირას ეგდო. ხუთი-ექვსი წლის ბავშვისა იქნებოდა, ზონარშეუხსნელი. ისე, მსუბუქად მიეყარა ნელ ქარს თოვლის მტვერი. არც ისე ძველი იყო, რომ დედას გადასაგდებად გაემეტებინა. მხოლოდ ყინვას კი ძლიერ მოეხრუკნა და სულ დაეპატარავებინა... მე რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ყველა მებრძოლმა ნახა და ყველას აღუძრა ერთი კითხვა; „სად არის, ნეტავ, მისი პაწია პატრონი? იქნებ უკუქცეულ გერმანელებს გაუგდიათ წინ და ამ თოვლში მისტანტალებს ცალფეხშიშველი"...

და გადავსწყვიტეთ, — ჩვენ უნდა ვისწრაფოთ, შეუსვენებლივ ვისწრაფოთ წინ, რომ დავეწიოთ იმ პატარას...

უთუოდ მსგავსმა გრძნობამაც — ამ ნამცეცა ფეხის ნატერფალის მოლანდებამაც — გაალომგულა მელიტონ ქანთარია და მისი თანამებრძოლები, — ბერლინამდე ბრძოლით რომ მივიდნენ და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

ვლადიმერ თორდუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

თოვლმა ისე გამოსცვალა,
ველარ იცნობთ ბაკურიანს,
მთებს და მინდვრებს,
ტყეს და სახლებს
ყველას თოვლი ახურია.

თოვლია და მზე აცხუნებს,
საოცარი ზამთარია,
თხილამურით გასაფრენად
პატარებიც მზად არიან.

ვისაც თოვლზე ქროლვა უყვარს,
მართებს თავის გამოჩენა!
ეყოთ კიდეც თხილამურებს
დასვენება ამოდენა.

წამოიცვით ხელთათმანი,
ფეხთ ჩაიცვით ჭრელი წინდა,
აქ სიცივეს ვერც კი იგრძნობთ,
გული ხომ არ შეგიშინდათ!

აგერ, ძლივს სჩანს მზიან თოვლზე,
ვილაც მიჰქრის ბუზის ტოლა,
გაფრენილმა თხილამურმა
თოვლის კვამლიც აიყოლა.

და ნამქერი ფეხის ბუქმა
დააწვინა ფენა-ფენად,
აგერ ვილაც მაღლობს მოსწყდა
ხელგაშლილი გასაფრენად.

აგერ ვილაც კოტრიალობს,
ადგომაში არვინ შველის,
და სიცილით ფაფუკ თოვლზე
გორავს, როგორც დათვის ბელი.

თხილამურით გავლას სწავლობს,
ფეხი ბევრჯერ აურია...
სავარჯიშო მოედანზე
ერთი აურზაურია!

საღამოხანს გვიან სწყდება
სიმღერა და ცემა ტაშის,
ზოგს ლოგინში სძინავს თბილად,
ზოგს საძილე ტომარაში.

მინდორზე რომ იძინებენ,
განა მარტო ვაჟებია!
გოგონებიც თოვლზე წვანან,
ცივ ჰაერზე კაჟდებიან.

ზოგს ნაბადი გადუხურავს,
ზოგს საბანი ახურია,
მოდით, ნახეთ რა თოვლია,
ახლა რა სჯობს ბაკურიანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედა

ინდო ინასარი

☆

პარიზი მეორე მსოფლიო ომამდე მხიარული ქალაქი იყო, მაგრამ ეს არ ითქმოდა პარიზის მუშათა უბნებზე, სადაც სილატაკე და სიბნელე სუფევდა.

მუშათა უბნების სიხარულს მხოლოდ მომავლისადმი იმედი შეადგენდა, რომელიც ვარსკვლავივით ელამკაშებდა. ამ მანათებელ იმედს მუშათა მოძრაობაში ჰხედავდნენ.

პარიზის მუშები განთიადს ელოდნენ, თავიანთი მზის ამოსვლას.

მათს ამ იმედს, ვით მზის სხივებს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გაზეთი „ლუმანიტე“* ავრცელებდა. და მუშა როჟეც, რომელიც ბასტილიის უბანში ცხოვრობდა, ყოველ დღე ამ გაზეთით ხელში ბრუნდებოდა სამუშაოდან შინ.

მთელი დღის მუშაობით დაღლილ ოჯახის მამას არც დასვენება აგონდებოდა, არც ჭამა-სმა, — პირველად იგი გაზეთს კითხულობდა.

ოჯახის დედას, ისევე, როგორც როჟეს, აინტერესებდა თუ რა ხდებოდა მსოფლიოში, თუ როგორ იბრძოდა მუშათა კლასი კაპიტალიზმისა და რეაქციის დასათრგუნავად.

ოჯახის მესამე წევრი—მათი 5 წლის გოგონა ჟულიანა კი დიდად უკმაყოფილო იყო მამის ჩვეულებით — გაზეთის გატაცებული კითხვით. მას უნდოდა, რომ მამა მასთან ყოფილიყო, მოალერსებოდა. ის ხომ მუდამ მოუთმენლად ელოდა მამის მოსვლას!

ამიტომ, როცა კი მოახერხებდა, მამას გაზეთს მოჰპარავდა ხოლმე და დაუმალავდა.

აგერ დღესაც სამუშაოდან დაბრუნებულმა მამამ გაზეთი მაგიდაზე დადო, ჟულიანამ მოახერხა, ჩუმად გაზეთი მაგიდიდან გადაეცოცებინა და დაემალა.

მამამ ეს მაშინ შენიშნა, როცა მაგიდას მიუჯდა და გაზეთის აღება დააპირა.

— ჟულიანა, სადაა გაზეთი?

— არ ვიცი! — მიუგო გოგონამ და მამას თვალი მოარიდა.

— მომიტანე და მოდი აქ, რაღაც უნდა გითხრა.

ჟულიანას გაეხარდა: რახან მიზანს მიაღწია, რომ მამის ყურადღება მიიპყრო, მაშინვე მიურბენინა გაზეთი.

— აი, გაზეთი. აბა რა უნდა მითხრა? — თქვა და მამას სიყვარულით მოეხვია.

მამა ჯერ მოეფერა, ხელები მოუცაცუნა სახეზე, თმაზე და მერე მშვიდად უთხრა:

— მომავალ კვირას ბულონის ტყეში წავალთ. იქ იქნებიან ჩემი ამხანაგი მუშების გოგონებიც — ჟანეტა და ლილიანა. მთელ დღეს ერთად ითამაშებთ...

ჟულიანა სიხარულით ცას ეწია: ჯერ ერთი, რომ ზაფხული იყო, პარიზში ცხელოდა. განსაკუთრებით შეხუთული ჰაერია ამ დროს ბასტილიის უბანში და იქიდან ბულონის ტყეში გასვლა მუშის ბავშვებისათვის ხომ ბედნიერება იქნებოდა! მეორეც, ჟულიანა ამხანაგ გოგონებს შეხვდებოდა, და ისიც ბულონის ტყეში. იქ ხომ მაღალ ხეების ჩრდილში ირბენდნენ, ითამაშებდნენ, წყალვარდნილსა და ტბას ნახავდნენ, ტბაზე ნავით იცურავებდნენ...

ჟულიანას იმ ღამეს ამაზე ოცნებით ჩაეძინა.

მეორე დღესაც მეტ დროს მომავალ სიამოვნებაზე ფიქრს ანდომებდა და ელოდა იმ სასიხარულო კვირას, მაგრამ მესამე დღეს, მოულოდნელად, პარიზში გერმანელი ფა-

* ლუმანიტე—კაცობრიობა.

მისტების ჯარები შემოვიდნენ და მისი საყვარელი მამა — მუშა როჟე შინ აღარ დაბრუნებულა.

სად არ იკითხა მისმა დედამ როჟეს ამბავი, ვერსად გაიგო — ზოგი ამბობდა გერმანელებმა პარიზში შემოსვლის დღეს მოჰკლესო, ზოგიც არწმუნებდა, რომ დაპატიმრებულია და აწამებენო. დანამდვილებით კი ვერაფერი გაიგო.

ოჯახის მამა უკვალოდ დაიკარგა.

დაობლდა პატარა ჟულიანა.

დედაც, რომელსაც უკვე ოჯახი უნდა ერჩინა, ბავშვს მარტო სტოვებდა. ჟულიანა მთელი საათობით იჯდა ნესტიანი ოთახის ფანჯარასთან წიგნით ხელში და სამუშაოდან დედის დაბრუნებას ელოდა ხოლმე.

მას აღარც ბულონის ტყე ახსოვდა, აღარც თავისი პატარა ამხანაგები...

მისი ერთადერთი ნატვრა ის-ღა იყო, რომ აღგვილიყვნენ გერმანელი ფაშისტები და კვლავ თავისი საყვარელი მამა დაენახა.

ამის ნატვრაში სამწელიწადნახევარმა განვლო. ჟულიანა გაიზარდა, იგი ცხრა წლისა ხდებოდა.

ამ ხნის მანძილზე მან ბევრი გაჭირვება ნახა: გამოსცადა შიმშილი, შიში პარიზის დაბომბვის გამო, უფრო კი გესტაპოს მიერ მუშათა უბნების აწიოკების დროს, იარა ძონძებშიც, ფეხშიშველმა.

ერთ დღესაც, ეს იყო 1944 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, გვიან ღამით მათთან ერთი მუშა მოვიდა.

ჟულიანას დედა კერვით მოქანცული ფეხზე დახვდა ლამპის მბჟუტავი სინათლის წინ, ნემსით ხელში.

— როჟეს ხსოვნის პატივსაცემად კომუნისტურმა პარტიამ თქვენ ნდობა გამოგიცხადათ და გამოგიგზავნათ ფრიად საიდუმლო გამოცემა, — თქვა მუშამ და უბიდან ამოიღო გაზეთები. — აგერ „ლუმანიტე“ აჯანყებისაკენ მოწოდებით... დილაბნელზე უნდა გავრცელოთ თქვენს უბანში.

როჟეს მეუღლემ ღრმა მადლობის გრძნობით გამოართვა გაზეთები და ჩაიხუტა გულში. როგორც კი მუშა წავიდა, ქალი ტანგაუხდელი მიწვა ჟულიანას გვერდით.

ძილი არ ეკარებოდა. მან წარმოიდგინა, თუ დილაადრიან როგორ გავიდოდა, როგორი სიფრთხილით მიაღწევდა ბასტილიის მეტრომდის და როგორ დაიძახებდა ფაშისტთა მიერ აკრძალულ, ხალხის საყვარელ „ლუმანიტეს“. გამვლელები მას სიხარულით გამოართმევდნენ გაზეთს და თვითონ ახლა სხვაგან გადავიდოდა „ლუმანიტეს“ ძახილით.

ეს ფიქრები არ ასვენებდნენ როჟეს მეუღლეს, მაგრამ მძიმე შრომით დაღლილმა უძილობას ვეღარ გაუძლო და რიყრაეზე ჩაეძინა...

ძილშიც კი მძიმედ სუნთქავდა ისინი.

მარტო ჟულიანას ესმოდა მისი ამოსუნთქვა, მარტო მან იცოდა დედის საიდუმლო.— მას როდი ეძინა, მუშა რომ მოვიდა და დედამისს გაზეთები გადასცა. გაიგონა ისიც, რაც მუშამ დედას უთხრა და იმის შემდეგ რაღა დააძინებდა! სულგანაბული ელოდა

განთიადს, რომ დედას თან გაჰყოლოდა. ახლა, როცა დედას ჩაეძინა, ჟულიანა წამოდგა, სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა, ლამპას, რომელიც დედას დაუქრობელი დარჩენოდა, პატრუქი აუწია და ნათლად დაინახა გულში ჩახუტებელი გაზეთებით ტანგაუხდელი დედის გაწამებული სახე...

შეებრალა, ძალიან შეებრალა დედა...

„არ გავაღვიძებ, წავალ, მე გავავრცელებ და დავბრუნდებიო“, — გადაწყვიტა ჟულიანამ, ფრთხილად გამოაცალა დედას გაზეთები და გავარდა გარეთ...

მეტრომდის რომ მიაღწია, მორთო ძახილი:

„ლუმანიტე!“ „ლუმანიტე!“

დილაადრიან ადამიანები ლანდებივით ჩანდნენ... რამდენიმე გამვლელმა ჟულიანას გაზეთი გამოართვა და გზა განაგრძო.

ჟულიანა ახლა სხვა ადგილას გადავიდა „ლუმანიტეს“ ძახილით...

ამ დროს ოტელ დე-ვილის* მხრიდან რიგოლის ქუჩით ორი შეიარაღებული გესტაპოელი მოდიოდა და „ლუმანიტეს“ ძახილი რომ გაიგონეს, ყურები ცქვიტეს, ფეხს აუჩქარეს და რამდენიმე წუთში გოგონას წინ გაჩერდნენ.

ჟულიანამ კვლავ დაიძახა „ლუმანიტე“ გაზეთი მათაც გაუწოდა.

„აი მაგისი ფასიო“, — მწარე დაცინვით წამოიძახა ერთმა გესტაპოელმა. რევოლვერის ხმა გაისმა და ბავშვი წაბარბაცდა.

— დედა! — უმწეოდ წამოიძახა გოგონამ და უსულოდ ძირს დაეცა.

გესტაპოელებმა სისხლით გასვრილი გაზეთი ზიზღით დააფარეს ბავშვის გვამს და ისევ ოტელ დე-ვილისაკენ გაბრუნდნენ. უცბათ ქალის ლანდი, თითქოს მიწიდან ამოვიდაო, გაჩნდა გესტაპოელების წინ და რევოლვერი მათ ზედიზედ დაახალა...

ფრანგი ქალი, რომელმაც შური იძია, მტრის ტყვიით განგმირულ ბავშვთან მივიდა, მის, ჯერ კიდევ თბილ ცხედარს თვალები დაუხუჭა, მერე გაზეთები წამოკრიფა და სიტყვებით „მეც შენი დედა ვარო“, გაეცალა იქაურობას. მალე მოისმა იმ ქალის ძახილი:

— „ლუმანიტე!“ „ლუმანიტე!“

პარიზი აჯანყდა...

* ოტელ-დე-ვილი პარიზის ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილია, სადაც საპატიო სტუმრებს იღებენ.

ვარლამ ქურული

რუსთავის ჰადარი

ხელისგულზე დაეტევა, ისე ნორჩი ხეა,
რაც რუსთავში დაბინავდა, მგონი, ასი დღეა.

პაწაწინა ჰადარია, დიდ ქალაქში რგული,
მშენებელთა სიყვარულით გათბობია გული.

ხარობს ახალ ხეივანში, ყვავილნარის გვერდით,
მზეო, სხივით ეალერსე, გაუმაგრე მკერდი.

წელს პირველად გაზაფხულმა მისცა მწვანე ფერი,
ჩიტმა ფრთებით გაუბერტყა გზატკეცილის მტვერი.

ჩვილ ფოთლებით შეიმოსე, მცენარეო ჩვილო,
ტოტი ტოტზე გამოისხი, გაზაფხულის შვილო.

ამწვანდი და ალამაზე ლითონების კერა,
მამულს უფრო შეგაყვარებს დღეს რუსთავის ცქერა.

თავზე გადგას სილაჟვარდე, ცაფირუზის თაღი,
დაამშვენე ქართლის მიწა და ქალაქის ბაღი.

შეხვედრა სტალინთან

ათი წელი შესრულდა რაც არ გვაღფრთოვანებს თავისი ახალი გმირული გაფრენებით ვალერი ჩკალოვი; 1938 წლის 15 დეკემბერს, ახალი თვითმფრინავის გამოცდისას, დაიღუპა ეს სახელოვანი მფრინავი.

ამ თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ჩკალოვის პატარა მოგონებას, რომელიც შეეხება სახელოვანი მფრინავის შეხვედრას დიდ სტალინთან.

„1935 წლის 2 მაისს „გამოჭიმულ ბალონ“ აეროდრომზე, ზურგი ჩემი საყვარელი თვითმფრინავისაკენ მქონდა მიქცეული. ჩვენი საუკეთესო კონსტრუქტორები და მფრინავები შესახვედრად დაეწყვნენ.

ჩვენ ერთსულოვნად ვუპასუხეთ ამხანაგ ვოროშილოვის მისალმებაზე. მის გვერდით მოდიოდნენ სტალინი და ორჯონიკიძე...

იოსებ ბესარიონის-ძე მე მომესალმა და კითხვების მოცემა დაიწყო. მეგონა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ამხანაგი მელაპარაკებოდა. ჩემი მუშაობის შესახებ რომ მეკითხებოდა, ამხანაგმა სტალინმა ავიაციის დიდი ცოდნა გამოავლინა.

ეტყობოდა, ვოროშილოვს უკვე ეამბნა მისთვის ჩემი საჰაერო თავგადასავლები, იმიტომ, რომ იოსებ ბესარიონის-ძემ მკითხა:

— რატომ არ ხმარობთ პარაშუტს და ჩვეულებრივ ცდილობთ მანქანა გადაარჩინოთ?

მე ავუხსენი, რომ დავფრინავ საცდელი ძვირფასი მანქანებით, რომლებსაც საჭიროა გავუფრთხილდეთ რადაც უნდა დაჯდეს. გამოცდის დროს აზრი იქითკენ მაქვს მიმართული, რომ მშვიდობით მივიყვანო მანქანა მიწამდე.

— თქვენი სიცოცხლე, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — ჩვენთვის ყოველ მანქანაზე ძვირფასია, უსათუოდ უნდა იხმაროთ პარაშუტი, თუ ეს საჭიროა!“

კ. გოგიაშვილი

ძიამ ბოჩოლა მაჩუქა

ძიამ ბოჩოლა მაჩუქა,
წაბლისფერბეწვებიანი,
თვალდიდა, სახე ლამაზი,
ბაკუნა ჩლიქებიანი.

და იცით რატომ? ზაფხულში
ვეხმარებოდი მამასა,
თავთავებს ვკრეფდი, ბარაქა
არ დაჭკლებოდა ყანასა.

და განა მარტო იმისთვის
რომ ვკრიფე ხორბლის თავთავი?
გამოვუზარდე კოლექტივს
თორმეტი თეთრი ქათამი.

ახლა თორმეტი და-ძმანი,
თოვლივით თეთრი ფრთამალი,
ერთად დადიან, მღერიან,
წინ უძღვით კოხტა მამალი.

და თავმჯდომარემ ეს მითხრა:
—რაკი ხარ ასე გამრჯეო,
მინდა, რომ კარგი საჩუქრით
შენ კმაყოფილი დარჩეო.—

მაჩუქა ნიშა ბოჩოლა,
თაფლისფერთვალებიანი,—
უხდება მინდვრად კუნტრუში,
ხარი, წკრიალახმიანი.

მომძახის, მუდამ თან დამსდევს,
მარდი და ხალისიანი,
მეც მზრუნველობას არ ვაკლებ,
ბალახი უყვარს ცვრიანი.

და როცა დიდი გახდება,—
იმიტომ ვზრდი და ვასუქებ,
იმის პატარა ბოჩოლას
ისევ კოლექტივს ვაჩუქებ.

ურიუპმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურიუმი შორსაა... ჯერ ლენინგრადიდან მატარებლით უნდა იმგზავროთ ქალაქ ვიატკამდე (ახლანდელი კიროვი), შემდეგ კი მდინარეზე — გემით პირდაპირ ურიუმამდე. თუ მგზავრობა ზამთარში მოგიხდათ, მარხილით უნდა წახვიდეთ. ვიატკიდან ურიუმამდე 165 კილომეტრია.

ნახევარი საუკუნის წინათ ურიუმი ძალიან მოსაწყენი ქალაქი იყო. ერთადერთი, რაც აქ ადამიანს იზიდავდა, ეს იყო ჩქარი მდინარე ურიუმკა და მთავარ ქუჩაზე ჩამწკრივებული ალვის ხეები.

ამ ქალაქში პოლსტოვალოვის ქუჩაზე (ახლა თავისუფლების ქუჩას უწოდებენ) დაიბადა და ბავშვობა გაატარა სერგეი მირონის-ძე კიროვმა — სერიოჟა კოსტრიკოვმა. სერიოჟას ჰყავდა მამა, დედა და დები: — უფროსი ანიუტა და უმცროსი ლიზა, აგრეთვე, მოხუცი დიდედა — მელანია ავდეის ასული, რომელიც ცალკე ცხოვრობდა — გადიად იყო მოხელე პერევოზჩიკოვთან.

სერიოჟას მამა ერთხანს ტყისმცველი იყო, მაგრამ იქ იმდენად მცირე ხელფასს აძლევდნენ, რომ ოჯახს ვაი-ვაგლახით გაჰქონდა თავი. სერიოჟა შვიდი წლისა იქნებოდა, როცა მამამ გადასწყვიტა საშოვარზე წასვლა ვიატკაში. მამა ფიქრობდა, იქ ცოტა რამეს ვიშოვი და შემოდგომაზე შინ დავბრუნდებიო. მაგრამ უკვე ზამთარი დადგა და მამა კი არ დაბრუნდა. უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამბობდნენ, ვიატკაში მოკვდაო.

სერიოჟას დედამ ეკატერინე კუზმას ასულმა ერთ ნაცნობს თხოვნა დააწერინა და გაგზავნა ვიატკაში, მაგრამ იქიდან პასუხი არ მიუღია. ოჯახი უმამოდ დარჩა... ბოლოს ეკატერინე იძულებული შეიქნა თავად წასულიყო მდიდრების ოჯახში სამუშაოდ, რათა სამი მცირეწლოვანი შვილი ერჩინა.

დედის სამუშაო ოლი ოდი იყო. იატაკის წმენდა, თეთრეულის რეცხვა. ქარბუქში თეთრეულით სავსე ორხელიან კალათებს მიათრევდა ურიუმკაზე, რომ ყინულჭრილში გაერეცხა. ერთხელ ეკატერინე გაცივდა, ავად გახდა, ახველებდა. მეზობლის ქალები ამბობდნენ: — კუზმოვნას საქმე ცუდად არის, ჭლექი სჭირს, გაზაფხულამდე ვერ მიაღწევსო.

კარგა ხანს იავადმყოფა დედამ. დეკემბერში გარდაიცვალა. კუბოს მიჰყვებოდნენ ბებია მელანია შვილიშვილებით და მეზობლის ქალი თავისი ბავშვებით. ბევრი ტიროდა. ბავშვები ეფლობოდნენ ნამქერში. შუა გზაზე ბებია მელანიამ ლიზა და სერგეი ძარხილზე დასვა, კუბოს გვერდით.

სიჩუმე სუფევდა სასაფლაოზე. ცერც კი მოასწრეს მიწით ამოვევსოთ საძარე, რომ უცბათ წამოვიდა ხშირი თოვლი და მალე თეთრი სუდარით დაჰფარა კუზმოვნას საფლავი.

... ბებია მელანია მზრუნველობდა აჭის შემდეგ ობლებს. ძლიერ უჭირდა ოჯახს. ბოლოს სიღარიბით შეწუხებულმა მოხუცმა გადასწყვიტა ბავშვები თავშესაფარში ეცა. მოხელე პერევოზჩიკოვი დაეხმარა ამ საქმეში. მხოლოდ სერგეის ასაკი იყო შესაფერი თავშესაფარისათვის. ტიროდა სერგეი, ემუდარებოდა ბებიას, არ წაეყვანა თავშესაფარში. გული დაემდურა საცოდავობით მოხუცს, მაგრამ რა შეეძლო! შიმშილით სიკვდილს კიდევ ის ამჯობინა, რომ სერგეი მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარში ჰყოლოდა.

გავიდა ხანი. წამოიზარდა სერგეი. მასს შემდეგ, რაც სკოლაში დაიწყო სიარული, თავშესაფარის ცხოვრებას როგორღაც შეეგუა და იგი უკვე აღარ ეჩვენებოდა ისე მოსაბეზრებლად, როგორც წინათ. გამგე იულია კონსტანტინეს ასული სერგეით ძალიან კმაყოფილი იყო. სერიოჟა თუმცა ხანდახან წაეჩხუბებოდა ბიჭებს, მაგრამ თავშესაფარის ბავშვებს კი არასოდეს არ უტყაპუნებდა გადაკრეჭილ კეფაზე, არ უწევდა ყურს, როგორც ამას ზოგიერთი ჩადიოდა. სკოლაში სერიოჟა კარგად სწავლობდა, ხოლო თავშესაფარის სახელოსნოში, სადაც კალათებს და ჩალის ქუდებს წნავდნენ, მოხუცი ოსტატი მუდამ აქებდა უმაწვილს.

ბებია მელანია მეზობლის ქალს ხშირად უამბობდა სერიოჟას წარმატებაზე, თან დიდად კმაყოფილი დასძენდა:

— თავშესაფარში ამბობენ, რომ სერიოჟასგან კაცი გამოვაო.

---

*) ა. გოლუბევას წიგნის „ურიუმელი უმაწვილის“ მიხედვით.

სერიოჟა უკვე თერთმეტი წლისა იყო, როცა სამრეცლო სკოლა დაამთავრა. ვინც სკოლაში კარგად სწავლობდა, მას სწავლის გასაგრძელებლად გზავნიდნენ ურუუმის სამოქალაქო სასწავლებელში.

— კოსტრიკოვს რა უჭირს! მას ხელად მიიღებენ სამოქალაქოში! — შენატროდნენ სერიოჟას ამხანაგები.

ასეც მოხდა.

*
* *

1901 წელს ურუუმის სამოქალაქო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის პირველი მოწაფე — სერგეი კოსტრიკოვი ცაემგზავრა ყაზანის სახელოსნო სასწავლებელში. ყაზანში სერგეი სწავლობდა ძალიან კარგად, მაგრამ გაჭირვებაში ცხოვრობდა, ხშირად შიმშილობდა და ცუდად ეცვა.

არდადეგებს სერგეი ურუუმში ატარებდა. ერთხელ სერიოჟა და მისი მეგობარი სანია სამარცვი ეწვიენ ძველ, ერთსართულიან სახლს. იგი მოხელის ქვრივს ეკუთვნოდა და იდგა მთის ძირას პოლსტოვალოვის ქუჩის ბოლოს. ამ პატარა სახლში ცხოვრობდნენ პოლიტიკური გადასახლებულნი, რომელთაც ქალაქში „მოჯანყეებს“ ეძახდნენ.

ამ გადასახლებულთ ყმაწვილები დაუახლოვდნენ და ხშირად სთხოვდნენ საკითხავ წიგნებს. როცა კარგად შეეჩვიენ მათ, გადასახლებულმა სპრუდემ ერთ დღეს სერგეის მისცა გაზეთ „ისკრის“ ნომერი. ეს იყო პირველი არალეგალური გაზეთი, რომელიც სერგეის ჩაუვარდა ხელში. „აი როგორი ყოფილა არალეგალური გაზეთი „ისკრა“, რომელსაც ლენინი უშვებს საზღვარგარეთ და რომელსაც რევოლუციონერები მალულად გზავნიან რუსეთში!“ — ფიქრობდა სერგეი.

რამდენიმე ხნის შემდეგ გადასახლებულთა დავალებით ყმაწვილებმა „ისკრიდან“ წერილი ამოსწერეს და ჰექტოგრაფზე გაამრავლეს. საქმე სერიოზული იყო, იგი დიდ სიფრთხილეს საჭიროებდა. მეორე [illegible] ღამით ეს ფურცლები ყმაწვილებს [illegible] მოედანზე და მალმიჟის გზატკეცილზე უნდა მიმოეფანტათ.

ის ღამე ჭაბუკებმა უძილოდ გაატარეს და ქალაქში მოჰფანტეს მოწოდება, რომელიც ამ სიტყვებით თავდებოდა:

„ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს რევოლუციას!“

1904 წელს კურსდამთავრებული სერგეი ყაზანიდან დაბრუნდა. ურუუმში აქებდნენ სერგეის: — ტექნიკოს-მექანიკოსი გამხდარაო.

სერიოჟას იმ ზაფხულს სანიამ ივანე ნიკონოვი გააცნო, ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. აგვისტოში სერგეიმ გადაწყვიტა ამ სტუდენტთან ერთად ტომსკში გამგზავრება რევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად.

როცა გემმა ურუუმი უკან მოიტოვა, მგზავრები კაიუტაში შევიდნენ. სერგეი ვიწრო საწოლზე ჩამოჯდა, ნიკონოვი კედელთან იდგა და თამბაქოს ეწეოდა.

—შენ უნდა იცოდე, სერგეი, რა მოგელის! სახრჩობელა ყოველთვის მოსალოდნელია, ციხესა და გადასახლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია...

სერგეი ადგა, თავი გააქნია, შუბლიდან თმები გადაიყარა და მტკიცედ უპასუხა:

— ვიცი, ივანე!

ასე მტკიცე გადაწყვეტილებით გაჰყვა სერგეი კოსტრიკოვი — ურუუმელი ყმაწვილი რევოლუციური მოღვაწეობის დიდ გზას; ასეთი იყო სერგეი მირონის-ძე კიროვის ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები.

დავით შამათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხარი და გაკვეთილი

გიორგი კაჭახიძე

ერთმანეთის სუნთქვა გვესმის,
ყველას ხმა გვაქვს გაკმენდილი
და გვიტაცებს ერთი აზრით
საყვარელი გაკვეთილი.

ზამთარია, თოვს და სარკმლებს
არ შორდება ნისლი მკრთალი,
მაგრამ სხივს გვფენს მასწავლებლის
დინჯი სიტყვა, მკვირცხლი თვალი.

თან დაფაზე მისი ხელი
ციფრებს ფანტავს ისე სწრაფად,
თითქოს თოვლის ფანტელები
აწყდებიან ძწყობრად დაფას.

ვინ გაბედავს, აბა, ჩურჩულს,
ვინ დაარღვევს ამ დროს წესრიგს?!
მასწავლებლის ტკბილი სიტყვა
ყველას გვხიბლავს, ყველას გვესმის.

თავგასული მხოლოდ ერთი
მოღუღუნე ბუხარია,
დაზამთრებით უკვე საქმე
რომ გაუჩნდა — უხარია.

მხიარულად სულ გიზგიზებს,
დუმილი და თვლემა არ სურს;
ფიქრში რომ ვართ, გაიხუმრებს —
გაგვაგონებს ცეცხლის ტკაცუნს.

გუნდად ნასროლ ნაპერწკლებით
თავს გვახსენებს, გაგვიცინებს...
გარეთ თოვს და ფანტელები
აწყდებიან სარკმლის მინებს.

ბოროტი გულისთქმა

ნოვკოვ იავორსკი

☆

პირველი, რაც თვალში მოხვდა ბაი მლადენს, ავტომატის ლულა იყო, მისკენ დამიზნებული. დააკვირდა და თხილნარში ფერმკრთალი, უცნობი ჭაბუკი დაინახა. ჭაბუკმა გადასწია შტოები, მოიხარა წელში და მარცხენა ფეხის თრევით გამოვიდა ბილიკზე.

— გამარჯობა!

ბაი მლადენმა თავი დაუქნია:

— გაგიმარჯოს!

— შეგეშინდა, განა?

— მე! რისი უნდა შემშინებოდა!

— იმისი, რომ შემეძლო მომეკალი.

— რისთვის უნდა მოგეკალი? განა რამე გაწყენინე?

—არა. მაგრამ, ვთქვათ, შენი გაძარცვა მომენდომებია.

— რას ამბობ! — ნაღვლიანად ჩაიღიმა ბაი მლადენმა. — რა გამაჩნია! მთელი ჩემი სიმდიდრე ეს ჩემი ჩანთაა და ქოხი სოფელში. არც ფული და არც მიწა არ მაბადია. დიდი ხანია რაც წამართვეს.

— ვინ წაგართვა?

— როგორ თუ ვინ! განა ცოტაა?! ბეგარის ამკრეფი, ბობოლა გლეხი პეტკო, ჩვენი ხუცესი.

— და შენ დაუთმე?

— მოდი და ნუ დაუთმობ! ვინ გეკითხება! ბობოლა პეტკომ საიდანღაც მოიგონა, თითქოს მისი ფული მემართა. მოვიდა და ძროხა წამართვა. ასევე მომექცნენ ბეგარის ამკრეფი და ხუცესი. მერე კინაღამ ჩხუბიც მოუვიდათ მათ ერთმანეთთან ჩემი მიწის გაყოფაზე. ყველას ვუჩივლე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ტყუილ-უბრალოდ უკანასკნელი გროშიც მივახარჯე სასამართლოში.

— მერე?

— მერე! მერე ცოლი გამიხდა ავად და მოკვდა. შვილი არ მყავდა. გამოვკეტე ჩემი ქოხის კარები და მოჯამაგირედ წავედი, შემდეგ ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ვმუშაობდი, მერე მტვირთავ მუშად, მერე ქუჩებს ვგვიდი სოფიაში.

ჭაბუკმა ამოიხვნეშა, დაჯდა ბუჩქის ჩრდილში, გვერდით ავტომატი დაიდო და ნელა გამართა დაჭრილი ფეხი. ბაი მლადენმა მოიხსნა ჩანთა, მის გვერდით დაეშვა, დიდი ხნის გაუპარსავ ლოყაზე დაკოჟრებული თითები მოისვა და განაგრძო:

— სამუშაო კი არსად არის. ორი კვირა ვიხეტიალე ქალაქში, ყველას ვემუდარებოდი სამუშაო მოეცათ, — ვერაფერი გავაწყე. იძულებული გავხდი სოფელში გამოვბრუნებულიყავი. აი, მოვდივარ, მაგრამ გალატაკებულ სოფელში რა დამრჩენია! ცუდ დღეში ვარ, ძმობილო.

პარტიზანმა თავზე ხელი შემოიდო, მიაცქერდა გლეხის რუხ ჩანთას და კვერი დაუკრა:

— ჰე, ცუდად ცხოვრობენ, ცუდად! არც მე ვარ კარგ დღეში. ჟანდარმებმა დამჭრეს; აგერ ორი დღეა აქ ვწვალობ და ფოთლებს ვღეჭავ. აბა, ამ ფიხით სად უნდა წავიდე?

მხოლოდ ახლა მიხვდა ბაი მლადენი, თუ რატომ უცქერდა ასე დაჟინებით ჭაბუკი მის ჩანთას, და აფუსფუსდა:

— გეთაყვა... ნუ გაჯავრდები, ვერ მოვიფიქრე... აი, ჩანთაში პური და პილპილია. აიღე, ჭამე!

პარტიზანმა ამოიღო პური ჩანთიდან, გატეხა შუაზე და ნახევარი გლეხს გაუწოდა.

— არა, შენ ჭამე... არ მინდა რაღაც! — თქვა ბაი მლადენმა.

ნოვკოვ იავორსკი ცნობილი თანამედროვე ბულგარელი მწერალია. მოთხრობაში „ბოროტი გულისთქმა“ იავორსკი გადმოგვცემს ბულგარელი ხალხის **პარტიზანული** ბრძოლის ერთ-ერთ **ეპიზოდს**

ჭაბუკმა გაიღიმა და შეუდგა ჭამას. გლეხი წამოწვა მის გვერდით და ფიქრს მიეცა.

„შეხეთ ამას!“ — ფიქრობდა ის. — „ყმაწვილია და ჟანდარმერიას ეომება! მე კი სამს ვერ გავუმკლავდი—ბეგარის ამკრეფს, სოფლის ბობოლას და ხუცესს!“ ეს ყოველივე სასაცილოდ მოეჩვენა და გაეცინა გუნებაში. ასწია თავი და ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება პარტიზანს.

— შენ, როგორც ჩანს, ოცი წლის არც კი იქნები?

— ცხრამეტი შემისრულდება აგვისტოში, — უპასუხა ჭაბუკმა და გადაყლაპა პურის უკანასკნელი ლუკმა.— როგორ, ახალგაზრდა ვარ შენის აზრით? მაგრამ შეხედე ამ თავს, — მან თითი მიიდო თავზე, — ამაში ორმოცდაათიათასს იძლევიან!

— ჩემსაში კი ყურგახვრეტილ კაპიკსაც არავინ იძლევა, — გაიცინა ბაი მლადენმა. — რა მოგვიდა? გტკივა? — ჰკითხა მან მოულოდნელად ჭაბუკს, რადგან შეამჩნია, რომ პარტიზანმა ტუჩები მოკუმა სიმწრისაგან.— მოიტა ვნახო!

ტყვიას მუხლში გაევლო. ჭაბუკს ფეხი გასივებოდა, ჭრილობა ჩირქდებოდა.

—ჰაი, აი, აი! —გადააქნია თავი ბაი მლადენმა. — მაგრად მოგხვედრია!.. მოიცა! მრავალძარღვათი გაგიწმენდ ჭრილობას, ერთბაშად დაგიამდება.

იგი მალე, იქვე წააწყდა მრავალძარღვას. მაგრამ მოგლიჯა თუ არა პირველი ფოთოლი, გლეხი უეცრად გაშეშდა მოულოდნელი აზრისაგან. ორმოცდაათი ათასი! მართლაცდა, თითოეულ მოკლულ პარტიზანში ხელისუფლება ხომ ორმოცდაათიათასს იძლევა! და მას, სულელს, ამაზე არც კი უფიქრია! ერთი დარტყმა და... აი, თუნდაც ამ კეტით.. დარტყმა თავში... მერე წაიღებს ავტომატს, ხელყუმბარებს, რევოლვერს. მერე სოფელში, ანდა უმჯობესია, ქალაქში განაცხადებს. მხოლოდ მოკლულის გვამს დამალავს თხრილში. მოვლენ, ნახავენ, — და აი მენ ორმოცდაათიათასი! აღარც შიმშილი, აღარც გაჭირვება!

ბაი მლადენმა მიმოიხედა. მსხვილი ეგდო მის ახლო, მაგრამ ჭაბუკმა [illegible] ჩნიოს და შიგ მუცელში ჩამაჭედოს ავტომატის ტყვია, — მაშინ მშვიდობით ყოველივე! ან იქნებ სჯობდეს მიეპარო მას, იქვე დავაგლო ქვას ხელი და ვხეთქო თავში? ანდა, უბრალოდ, ვწვდე ყელში და დავახრჩო?

ბაი მლადენი ჩუმად მიეპარა დაჭრილს. ჭაბუკი გულაღმა იწვა, თვალებმინაბული. ამ დროს ბუზი ბზუილით აფრინდა ჭრილობიდან, დატრიალდა ჰაერში და ჭაბუკს ხელზე დააჯდა, რომელშიც ავტომატი ეჭირა. ბაი მლადენს ყურებმა წივილი დაუწყო. სისხლი თავში აუვარდა. თვალებამღვრეულმა მიმოიხედა და დაიხარა ქვის ასაღებად. უეცრად... ჭაბუკმა თვალები გაახილა.

რამდენი ნდობა და მადლობა გამოსჭვივოდა მის დაღლილ, ცისფერ თვალებში!

რაღაც მოსწყდა გლეხს გულში. წელში გასწორდა და ერთბაშად სამინელი სისუსტე იგრძნო. მან იგრძნო მწვავე ტკივილი და რაღაც სიმძიმე სირცხვილისაგან. უნდოდა თავისი გული ამოეგლიჯა სუნთქვაშეკრულ მკერდიდან. ჭაბუკმა დაინახა, თუ როგორ მძიმედ დაეშვა გლეხი ბალახზე, თუ როგორ აუცახცახდა მას ლონიერი მხრები, — და წაფოფხდა მისკენ.

—ამხანაგო! რა მოგდის!

— არ მომეკარო! — შეჰყვირა ბაი მლადენმა. — ვერ ხედავ, განა! შენი მოკვლა მინდოდა!

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. ცხოვრებამ გაგაბოროტა, შენს ადგილზე ბევრი სხვაც ასე მოიქცეოდა. ნამდვილად კი ცუდი ადამიანი როდი ხარ. ეს მხოლოდ წუთიერი გულისთქმა იყო.

„ცუდი ადამიანი არა ვარ? როგორ თუ ცუდი არა ვარ, როდესაც ესესაა კინაღამ მოვკალი ჭაბუკი, — დამშეული, დაჭრილი, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ ჩემთვის ტყვია ეკრა მკერდში, ადამიანურად მთხოვა ლუკმა-პური!“

— მითხარი, შენი ამხანაგები ყველანი შენისთანაა? გაკვირვებით შეეკითხა იგი პარტიზანს.

— ყველანი! — ღიმილით მიუგო მან.

...და მომხდარი შემთხვევით ჯერ ისევ რეტდასხმულმა ბაი მლადენმა შემოიდგა თავზე თავისი ზორბა დაკოჟრებული ხელები და პირველად თავის სიცოცხლეში ხმამაღლა გამოთქვა თავისი ნათქვალი:

—ეჰ! როგორ მინდა ჩემი უვარგისი თავიც შეფასებული იყოს ორმოცდაათათასად!

თარგმნა **შ. გვინჩიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

☆

აგვისტოს მზემ მთიდან თავი ამოჰყო.

გატენილი ვაზნებით სავსე ფალასკა წელზე შემოვირტყი, თოფი ავიღე და გვრიტებზე სანადიროდ გავწიე.

ზღვის პირას, გვიმრებში უყვართ გვრიტებს გოგმანი.

შევდექი. თვალებზე ხელი მოვიჩრდილე და გვიმრებს დავაკვირდი.

რაღაც მოძრავი წერტილი შევნიშნე.

„გვრიტია!“ — გამეხარდა.

გვრიტი ძალიან ფრთხილია. ამიტომ ჯერ წელში მოხრილი ვეპარებოდი, მერე კი სილაზე დავწექი, გავხოხდი.

სროლის მანძილზე რომ მივუახლოვდი, გავინაბე. თვალებს ძალას ვატანდი, მაგრამ ამაოდ. გვრიტი ვეღარ დავინახე.

„ალბათ შემამჩნია და გაფრინდა“. — გავიფიქრე.

ავდექი, სილა ჩამოვიფერთხე.

კარგა ხანს ვიარე. კვლავ შევნიშნე გვრიტი და სილაზე დავწექი. მივსრიალებდი.

მზემ დააცხუნა.

დაღლილმა, გაოფლიანებულმა შევისვენე.

ჩემს გვერდით ხარაბუზა ნეხვის გორგალს უკანა ფეხებით მოაგორებდა.

ჭია-მაია ზედ თოფის ლულაზე დაფრინდა, ლამაზი, ფერადი ფრთები შეიკეცა.

გარკვევით ვხედავდი გვრიტებს. რამდენიმე მეტრი კიდევ და... თოფს ვესროდი. ამ დროს კისერზე ბუზარა დამაჯდა. ბუზარას მოსაკლავად ხელი ზევით რომ ამეწია, გვრიტები დამინახავდნენ, გაფრინდებოდნენ. მხრები და თავი ავამოძრავე, მაგრამ, სანამ ძალლივით არ მიკბინა, არ მომშორდა. კბილები დავაკრაჭუნე ტკივილისაგან, თვალები დავხუჭე, კისერზე ხელი ვიტაცე .როცა თვალები გავახილე, გვრიტები გვიმრებში აღარ ისხდნენ. გაცოფებული წამოვვარდი. აქეთიქით ვიხედებოდი, ჩემს მტერს — ბუზარას ვეძებდი.

გზა განვაგრძე.

გვრიტების გუნდი სულ ახლოს დაფრინდა. არ დავწოლილვარ, გავიფიქრე:

„თუ მიმიშვებს, ვესვრი. დავიღალე, აღარ შემიძლია ხოხვა“.

ჩემსა და გვრიტებს შორის მანძილი მოკლდებოდა, მაგრამ გვრიტები ყურადღებას არ მაქცევდნენ.

„წელს არიან გამოჩეკილნი, არ ეშინიათ“. — გადავწყვიტე.

სამმა გვრიტმა ერთად მოიყარა თავი. ვესროლე. სამივე მოვკალი. სროლის ხმაზე სხვა გვრიტები სილას მოსწყდნენ და ისევ დასხდნენ.

იმ დღეს რვა გვრიტს სული გავაცხებინე. ერთი გაფრინდა. გვრიტები ავკრიფე.

თოფში ახალ ვაზნებს ვაწყობდი, დავინახე: გვრიტი ჩემსკენ მოფრინავდა. თოფი რომ დავუმიზნე, უცებ ზევით ავარდა, მერე ქვევით დაიწია, ისევ ზევით...

„ბებერო! შენ იცნობ თოფს. იქნებ შენს სხეულში ახლაც ხის შარშანდელი, თუ შარშანწინდელი საფანტი!..“ — ვთქვი და თოფი არ ვესროლე, შემეცოდა.

შიო მღვიმელი

გარდაცვალებიდან 15 წლისთავი

დიდი წარსულის მქონე ქართულ ლიტერატურაში შიო მღვიმელს ფრიად საპატიო და თავისებური ადგილი უკავია. უყოყმანოდ უნდა ითქვას, — შიო იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებშივე იგრძნო საბავშვო ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა და საჭიროება და რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ძირითად სამოღვაწეო სარბიელად საბავშვო პოეზია გაიხადა. შიო მღვიმელი 50 წელიწადი ემსახურებოდა ქართულ საბავშვო ლიტერატურას. პოეტში იმდენად ძლიერი იყო ბავშვისა და პოეზიის სიყვარული, რომ მას სიკვდილამდის კალმისათვის ხელი არ შეუშვია. შიო მღვიმელის დაუღალავმა და ენერგიულმა მუშაობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო და ბევრი მისი ლექსი ქართული საბავშვო პოეზიის შედევრს წარმოადგენს.

შიოს შეეძლო ბავშვის ფიქრისა და გრძნობის გაგება, ბავშვის ენით ამეტყველება; ბავშვის სიხარული და მწუხარება პოეტის სიხარული და მწუხარება იყო. შიოც თავის დიდ გრძნობას ბავშვებისადმი ერთ-ერთ ლექსში გულწრფელად და მთელი ხმით გამოხატავს:

—სულ ვმღერი ერთის გულითა,
ვნატრობ: გამაძღე ბუნებავ,
ბავშვების სიყვარულითა“.

1916 წელს პოეტი წერდა:

„მაშინა ვარ ბედნიერი,
მხოლოდ მაშინ ტკბება გული,
როცა მესმის ნორჩი ყრმების
სიცელქე და ჟრიამული“.

შიო იმდენად საკუთრად და თავისად თვლიდა ბავშვებისადმი თავის დიდ სიყვარულს, რომ გაბედულად და ლაღად ლაპარაკობდა:

„ცხოვრებისგან გადატეხილს
და ბედისგან მწარედ ძლეულს
ვინ წამართმევს ამ სიმდიდრეს,
ვინ წამართმევს ამ განძეულს?!“

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ბევრი თვალსაჩინო და დიდი მწერალი მოღვაწეობდა, მაგრამ ქართველ ბავშვებს არ ჰყოლიათ შიოსებურად მოსიყვარულე და დაუღალავი მომუშავე, შიოსებური ხმით ამღერებული პოეტი. ბავშვებსაც ძლიერ უყვარდათ თავისი დიდი პოეტი და „ძია შიო“ უწოდეს მას.

თავისი თემატიკით, საგნების ხილვის თავისებურებით, თავისი სადა, მხატვრული ენით, ბავშვების ბუნების ღრმა ცოდნით და ლამაზ ლექსებში ოსტატურად მისი გადმოცემით შიო მღვიმელმა სამართლიანად დაიმსახურა ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსის სახელი.

საბჭოთა წყობილების მზიანმა დღეებმა შიო მღვიმელს მოხუცებაში შესვლისას მოუსწრო.

დუხჭირ ცხოვრებაში გამოვლილმა, დიდი გაჭირვებისა და სიღარიბის განმცდელმა შიომ საკუთარი თვალით ნახა მშრომელთა განთავისუფლება მონობის უღლისაგან. თვითონაც თავისუფალმა და ბედნიერმა ჭაბუკური გზნებით განიცადა ძლევამოსილი სოციალიზმის მშენებლობა. მართალია, ამ დროს ადრინდულად არ მოსდევდა ჯანი, მაგრამ მაინც ჭაბუკური აღტკინებით გამოეხმაურა საბჭოთა ქვეყნის მზიურ სწრაფვას, მის შინაარსიან დღეებს და სათანადო ამაგიც დასდო ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიას.

შიო მღვიმელის ლექსებმა დიდი სამსახური გაუწიეს ქართველ ბავშვებს. მისმა პოეზიამ ნორჩ თაობას შეაყვარა ლექსი და წიგნის კითხვა, შეაყვარა შრომა, სკოლა და მასწავლებლები. შიოს პოეზია ბავშვებს უღვივებდა სპეტაკ ადამიანურ გრძნობებს, სიცოცხლის სიყვარულისა და სიხარულის გრძნობებს. ამ დიდ ღირსებას შიოს პოეზია დღესაც შეუნელებლად ინარჩუნებს, — მას მიმზიდველობასა და ბრწყინვალებას აძლევს.

ბორის ბეთანელი



მიხეილ ლექავა

ნახატები **შ. ცხადაძისა**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

აგვისტოს საამური დილა გათენდა. ამომავალ მზეს შეჰხაროდა ახლად გაღვიძებული ბუნება. ორლობეებიდან ისმოდა სამუშაოდ მიმავალი კოლმეურნეების მხიარული საუბარი.

ქეთინოც მკვირცხლად გამოხტა სამზარეულო სახლიდან და ეზოს ბოლოში დაბმულ საქონელს მიაშურა. მალე მას უმცროსი ძმა, ლეოც მიჰყვა.

— შეხედე, ლეო, რა ლამაზია ჩემი ნათო. როგორი კოპწია და პრიალა რქები აქვს, ალერსიანი თვალები, ლამაზი თავ-ყელი, ჯეირანივით დგას!

— ჩემი ნიკორა განა ცუდია? — წამოიწყო ახლა ლეომ. — შოლტივით მოქნეული ტანი აქვს, მუშტის ოდენა თვალები. ისეთი ღონიერი იქნება, ისეთი, რომ სანდროს ლომას წამოაჩოქებს.

— არა, ძამია, ჩემი ნათო ჯობს.

— რითი ჯობს შენი ნათო ნიკორას?

— იმითი, რომ ძროხა იქნება.

— ჩემი ნიკორა არ იქნება ხარი თუ?

— მერე რა, რომ იქნება, ხარს ძროხა ჯობს.

— რას ამბობ, გოგო, ხარს ძროხა როგორ ჯობს?!

— როგორ და კარგად, წელან რომ ჭყლინტ ყველს მიირთმევდი, ის ძროხის ნაწველი იყო.

— წელან რომ ცხელ მჭადს ილუკმებოდი, ის ხარის ნამუშევარი იყო.

— არაფერიც, ის ტრაქტორის ნამუშევარი იყო. შარშან რომ ძია პეტრემ ტრაქტორები მოიყვანა და მთელი ფართობი ორ-სამ დღეში გადახნეს?

— აბა, ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარეს, ძია ვანოს არაფერი ცოდნია.

— რატომ?

— გუშინწინ, მდინარეზე საბანაოდ რომ მიმყავდა ნიკორა, ძია ვანო შემხვდა და მითხრა: ყოველდღე თუ ასე კარგად მოუვლი ნიკორას, დაგაჯილდოვებო. მე ხომ კოლექტივს ვუზრდი ნიკორას! ხარად რომ გამოდგება, უნდა ჩავაბარო... ძია ვანომ უფრო იცის, თუ შენ?

— მე ის ვიცი, რომ ნიკორა მაინც და მაინც საჭირო არაა. — თქვა ქეთომ და გადიკისკისა.

— კი, როგორ არა! — მიუგო ოდნავ გაბუტულმა ლეომ და ისევ განაგრძო: — კარგი, თუნდ მიწა ტრაქტორებმა მოხნეს და დაამუშავეს, აღებული მოსავალი ხომ ხარებმა უნდა მოიტანონ?

— ავტომობილებით მოვიტანთ.

— იჰ, რას ამბობ, ჩვენს კოლექტივს სადა ჰყავს ავტომობილები! — ხელის აქნევით უპასუხა ლეომ დას, სახეზე ღიმილი აუთამაშდა და ნიკორას უფრო მიუახლოვდა.

— დღეს თუ არა ჰყავს, მალე ეყოლება. მასწავლებელმა გვიამბო: ქუთაისის მახლობ-

ლად საავტომობილო ქარხანა შენდება და აუარებელ მანქანებს გამოუშვებსო.

— ეს მეც ვიცი, მაგრამ მოიტანე სიმინდი და ჭამე, დაფქვა არ გინდა? წისქვილში ხომ ხარებმა უნდა წაიღონ სიმინდი!

— ავტომობილებით წავიღებთ.

— წისქვილის ვიწრო გზაზე ავტო როგორ გაივლის, გოგო, შენ სულ არაფერი არ გცოდნია.

— სულელო, წისქვილის გზას ორ-სამ დღეში გააფართოვებენ. რა არის იმ მოკლე გზის შეკეთება. — სხაპასხუპით მიუგო ქეთომ, იქვე მდებარე წიფლის ხის მორზე შეხტა, ძმას გამომწვევად გადახედა და მხიარულად შესძახა:

იყო და არა იყო რა,
დრო გაჰყოლია ნიკორა.

— არ მივდივარ ყანაში. შენ წადი მარტო, — თქვა გაჯავრებულმა ლეომ და შებრუნდა.

ქეთომ სიცილი შეწყვიტა და ლეოს დაედევნა.

— რათ არ მოდიხარ ყანაში?

— შენ მარტო წადი და წაიყვანე შენი ნათო.

— მე მარტო მეშინია, ბიჭო... მერე და ორივე როგორ წავიყვანო! ნიკორას ჭამა არ უნდა? შეხედე როგორ გიცქერის!

— თუ არ ვარგა, რად უნდა ვაჭამო?

— კი ვარგა, ძამიკო, კი... შეხედე რა ლამაზია!

— არა, არ მოვდივარ, — გადაჭრით თქვა გაჯიუტებულმა ლეომ. მაგრამ [illegible] რომ დიდ ხანს არ გასტანდა მისი [illegible]

ქეთოს შეეშინდა, ვაი, თუ [illegible] წამოვიდეს ლეო ყანაშიო.

— გუშინ რომ მახეები დააგე ფეტვის ყანაში, იქნებ მწყერია გაბმული!

— იქ მერე წავალ, — მოკლედ მოუჭრა ლეომ.

ამ დროს სახლიდან დედა გამოვიდა. დაინახა თუ არა გაბუტული ლეო, მიზეზი ჰკითხა. ქეთომ დაასწრო ძმას და ყველაფერი უამბო დედას.

დედას გაეცინა. ლეოსთან მივიდა, თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი.

— ამისათვის ჯავრობ, შვილო? ავტომობილები ახლაც ბევრი გვაქვს და მალე მეტი გვექნება, მაგრამ ნიკორაც საჭიროა. წადი, გენაცვალოს დედა, წაიყვანე შენი ნიკორა და კარგად გააძღე.

— შევრიგდეთ ძამია! — წამოიძახა ქეთომ და ლეოს ხელი გაუწოდა.

ლეოს არაფერი უთქვამს. დას გაუღიმა მხოლოდ. მერე იბრუნა პირი და ნიკორასაკენ გაექანა. მას ქეთოც მიჰყვა.

ბავშვებმა სწრაფად ახსნეს ხეებზე მიბმული ნათო და ნიკორა. ნამგლები მკლავზე გადაიდეს და ეზოდან გავიდნენ.

მათ თან გიშერაც ადევნა.

სოფლის შარა-გზაზე ლეომ ჩრდილში მოთამაშე სკოლის ამხანაგები კოტე და მიტო დაინახა. გაუსწორდა თუ არა მათ, ღიმილით გაეხმაურა:

— კოტე, წამოიყვანე შენი საქონელი, კაპეტებში* ბევრი ბალახია, მალე გავაძღებთ.

— ჩემი ძროხა და დეკეული ბებიამ წაიყვანა, — მიუგო კოტემ და მიტოსთან თამაში განაგრძო.

ლეოს მეტი არაფერი უთქვამს. ნიკორა გაირეკა და წინ მიმავალ ქეთინოს დაეწია.

მალე სოფლის შარა-გზიდან გადაუხვიეს და ყანებში მიმავალ ვიწრო გზას გაყვნენ.

*

* *

გზის ორივე მხარეზე მაღალი, დატაროებული სიმინდები ამაყად იდგნენ. ხანდახან ნიავი დაუბერავდა და ერთბაშად აშრიალდებოდა სულგანაბული ყანა.

გზისპირას მოხუცი ქალი იჯდა და გახეთქილ მუხლის თავიდან გამოჟონილ სისხლს კაბის კალთით იწმენდდა. იქვე, პალოზე მიბმული იყო ძროხა.

დაინახა, თუ არა მოხუცმა ბავშვები, კაბის კალთა გაისწორა.

და-ძმამ იცნო მოხუცი. ლეომ ჰკითხა:

— რა მოგვიდა, ბებია?

* კაპეტი—ახო

— ეხ, შვილო, ამ ჭირის გასაწყვეტმა საკონელმა წამაქცია. ჭვას დავკარი მუხლი. ერთმა აქეთ კრა თავი ყანაში, მეორემ იქით, გამწიეს და გამომწიეს. ძროხა შევაჩერე როგორც იყო. დეკეული ყანაში გაძექცა. ერთბაშად კოტე არ მომეხმაროს, შვილიშვილიც ასეთი უნდა! — აწუწუნდა მოხუცი.

ლეომ ნიკორას სარქე ქეთოს მიუგდო, ყანაში შევიდა, ფეხაკრეფით მიეპარა მოხუცის დეკეულს, რომელიც ხარბად ბლეჯდა ბუჩქივით მდგარ ძაძას ფოთლებს. ლეომ დაიჭირა დეკეული და ბებიას მიუყვანა. მოხუცმა მადლობა გადაუხადა ბავშვს.

— აქეთ წამოიყვანე, ბებია, კარგი ბალახი არის. ჩვენ დაგეხმარებით! — უთხრა ქეთომ მოხუცს.

მოხუცმა დეკეული ძროხის მახლობლად მიაბა პალოზე და ქეთოს უპასუხა:

— არა შვილო, სიარული არ შემიძლია. აქვე მოვჭრი ცოტა ბალახს და ვაჭმევ.

ბავშვებმა გზა განაგრძეს.

მალე მინდორზე გავიდნენ. ნათო და ნიკორა კაკლის ხის ჩრდილში დააბეს და, რადგან მინდორზე საკმაო ბალახი არ იყო, ყანაში შევიდნენ ბალახისათვის.

ნათო და ნიკორა მოუთმენლად იცქირებოდნენ იმ მხარეს, საითაც ბავშვები წავიდნენ. ხანდახან შეტრიალდებოდნენ ხოლმე და საწყალობლად შეზმუვლებდნენ.

მალე ბავშვებიც დაბრუნდნენ და კონებად შეკრული ბალახი საქონელს დაუყარეს.

— ახლა წავიდეთ და მახეები დავათვალიეროთ. — თქვა ლეომ.

— წავიდეთ, — დაეთანხმა ქეთო.

ბავშვები ფეტვის ყანაში შევიდნენ. ფეტვის მძიმე თავდახრილ თავთავებს აქეთ-იქით სწევდნენ ხელებს და წყნარად მიაბიჯებდნენ.

ლეომ პირველი კვალი დაათვალიერა. შემდეგ მეორე, მესამე, მაგრამ არსად არაფერი აღმოჩნდა. ბოლოს მეოთხე კვალს მიუახლოვდა. ერთ-ერთ მახესთან მუხლებით დაეცა და აღტაცებით წამოიძახა:

— ქეთინო, მწყერი გაბმულა მახეში.

— აბა, მაჩვენე! — შეჰყვირა ქეთომ და ძმისკენ გაიქცა.

ლეომ ფრთხილად გამოხსნა მწყერი, დას გაუწოდა და თვითონ აშლილი მახეების გასწორებას შეუდგა.

— რა ლამაზი თვალები აქვს, რა კოხტა თავი! — იძახდა გახარებული ქეთინო და გულში ისუტებდა ფრინველს.

ბავშვები მხიარული ტიტინით უკან გაბრუნდნენ.

როცა კაკლის ხეს მიუახლოვდნენ, ძალიან შეწუხდნენ: ნათო და ნიკორა იქ არ დახვდათ.

— რა ვქნათ ახლა? — ერთხმად დაეძებ-ძმამ.

— ბალახის ნახევარიც არ შეუჭამიათ. თოკებიც არ სჩანს! ვიღაცას მოუპარავს! — დაასკვნა ლეომ.

ეს არასასიამოვნო ამბავი გიშერამაც იგრძნო, ირგვლივ მიმოიხედა, მიწა და ჰაერი დაყნოსა, მერე ისკუპა და ყანებში ჰკრა თავი.

ლეომ და ქეთომ სულ დაიარეს ყანები, დაიქანცნენ, მაგრამ ვერ იპოვეს ნათო და ნიკორა.

ბოლოს, ტყის პირას, პატარა მინდორზე წააწყდნენ ხეზე მიბმულ თავის საქონელს. ამ დროს გიშერა, ერთის ამბავით, ყეფით მისდევდა ვიღაცას. ლეომ პირველად ვერ გაარკვია, თუ ვინ გარბოდა. მერე როგორღაც იცნო: კოტე აღმოჩნდა, მისი კლასელი. ლეო დაეჭვდა და გაიფიქრა: ეს ყოველივე უთუოდ კოტეს ნაცულლუტარი არისო.

ლეო სირბილით გაეშურა იქით. გიშერას დაუყვავა. კოტემ ძლივს მოითქვა სული.

— მაპატიე ლეო! — დაიწყო ბოლოს დარცხვენილმა კოტემ. — მიტომ გამაბრიყვა. შენი ნათო და ნიკორა ჩვენ დავაბით აქ. ხომ გახსოვს, ამოცანა რომ არ გადააწერინე გაკვეთილზე, სამაგიერო უნდა გადაუხადოო, მეც ამიყოლია. მიტო შურიანი ბიჭია, თანაც მხდალი. მე აგერ გიშერამ კინალამ დამჭამა, მან კი თავს უშველა...

გიშერა ისევ ბრაზიანად უღრენდა კოტეს. კოტე კი თავჩაღუნული იდგა ლეოს წინაშე და პატიებას თხოვდა.

შემდეგ გაისმა: — შემოდით! — ამ პაუზამ ენაც წაგვართვა, ხელ-ფეხიც, კარის შეღებას ვერც ერთი ვერ ვბედავდით. ამ ყოყმანში კარი გაიღო და დავინახეთ შუატანის, წვერვულვაშგაპარსული, ჭაღარა შერეული, მშვენიერი სახის ადამიანი, დიდი ალერსიანი თვალების მქონე. გავიხედ-გამოვიხედე კიდეც — ხომ არ მეშლება-თქო და დავინახე მეორე ადამიანი. ლადომ გამაცნო — ეს ქართული თეატრის ცნობილი არტისტია, კოტე ყიფიანიო.

მაშ ეს ყოფილა ლადო მესხიშვილი, წუხანდელი ფრანცი? რა იქნა მისი წუხანდელი საშინელი გარეგნობა, მისი მიხრა-მოხრა, მისი ბოროტი კილო? მაშ წუხელ ჯადოსნობა ყოფილა და, აი, თითონ ჯადოსანიც!

გაშტერებული ვუყურებდი ლადოს, მთლად ავირიე... სალამიც კი არ მითქვამს, ჯირკივით ვიდექი.

ალბათ მე და ჩემს ამხანაგს ძალიან სასაცილო გამომეტყველება გვქონდა. ლადოს თვალებმა და ტუჩებმა ირონიულად გაუღიმა.

— დაბრძანდით, უმაწვილებო! — და სკამი თითონ გამოწია ჩვენსკენ. მე და ჩემი ამხანაგი ერთბაშად მივიწიეთ ერთსა და იმავე სკამისაკენ, ერთბაშად დავჯექით, ერთიმეორეს დავეჯახეთ და ისევე ერთბაშად წამოვხტით.

ჩვენი განზრახვა იფუშებოდა... მხოლოდ ლადოს გულისხმიერებამ და სულის სიფაქიზემ გამოასწორა ჩვენი საქმე.

თითქოს არაფერი არ მომხდარა, თავისი ხელით დამსვა სკამზე, ჩემს ამხანაგს მეორე სკამი მიაწოდა და გვკითხა:

— ჩემი ნახვა გსურდათ, ალბათ, უმაწვილებო?

— ხოო... დიახ!... არა სხვა საქმე გვაქვს... დიახ, ნახვა... წუხელ თეატრში ვიყავით... ხო და...

ეტყობოდა, რომ ლადო სიცილს ძლივს იკავებდა, მე კი დაბადების დღეს ვიწყევლიდი... რამ შემბოჭა და ენა რამ წამართვა?

— პიესა მოგეწონათ? — გვკითხა ლადომ.

— პიესა? ხოო, რასაკვირველია, მოგვეწონა...

— აი ეს არტისტი მოგეწონათ, მამას რომ თამაშობდა? — და კოტე ყიფიანისკენ გაიქნია თავი.

— თქვენ რომ დაახრჩეთ? — ხოო, მოგვეწონა...

— ფრანცი მოგეწონათ?

— უუფ! ძალიან... და... — ამხანაგს გადავხედე, შენც თქვი რამე მეთქი. მაგრამ ის თევზივით მუნჯად იყო.

— თქვენი ფრანცი ძალიან მომეწონა — და ერთბაშად მივახალე:

— ჩვენც გადავწყვიტეთ არტისტები გავხდეთ!

ლადოს გაეცინა.

— დიდი ხანია ეს სურვილი დაგებადათ? — უკვე სერიოზულად გვკითხა ლადომ.

— ბავშვობიდანვე! — მტკიცედ ვუპასუხე მე.

— თეატრი კარგი საქმეა, ძალიან სასიამოვნოც და სასარგებლოც, მაგრამ... რომელ კლასში ხართ?

— მერვიდეში გადავდივართ! — თავმომწონედ ვუპასუხე.

— ცოტა არ იყოს, ადრეა, არა?

— ოო, არა, ჯერ გიმნაზია უნდა გავათავოთ და შემდეგ... გვასწავლეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ შემდეგში, რომ არტისტები გავხდეთ?

— ჯერ, უმაწვილებო, გიმნაზიაც და უნივერსიტეტიც უნდა გაათავოთ, საერთო განათლება უნდა მიიღოთ და მერე ამ საფუძველზე შეგიძლიათ თეატრზე ფიქრი. თუ უნარი აღმოგაჩნდებათ, საამისო სასწავლებლებიც და მასწავლებლებიც არსებობენ. მანამდე კი მხოლოდ განათლებაზე იფიქრეთ. სწავლა მიუღებელი, გაუნათლებელი არტისტი სასურველი არ არის.

ალერსიანად და მეგობრულად ჩამოგვარეცა ხელი და ჩვენც ნაღვლიანად დაფიქრებულნი გავედით ოთახიდან. კარებშივე მომესმა ყიფიანის ნელი სიცილი და ლადოს „სსუ, ჩუმად, ეწყინებათ!“

ეს — „სსუ, ჩუმად, ეწყინებათ!“ — დღესაც ლამაზად ბგერს ჩემს ხსოვნაში.

* * *

10 წელიწადი გავიდა. სწავლა დავამთავრე, დრამის არტისტიც გავხდი და საქართველოში დავბრუნდი ლადოს დასში სამუშაოდ. მიცნო. მოგონდა ჩვენი მისვლა მასთან და ღიმილით მითხრა:

— ძალიან სასაცილონი იყავით თქვენი ბავშვური აღელვებით! მაგრამ თავი შევიკავე, მივხვდი, რომ თქვენი აღელვება ძალიან წრფელი იყო და წარმატების საწინდარი.

მთელი სეზონი ვიმუშავე ლადოსთან. ოდნავად მოტყდა, ჭაღარა გაერია, მაგრამ ხასიათით ისეთივე ტკბილი დარჩა.

ერთხელ მასთან ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე მივიდა. 14-15 წლისა იქნებოდა, ხელში სქელი რვეული ეჭირა.

— ჩემთან საქმე გაქვს, შვილო?

— დიახ, ბატონო!

— ალბათ არტისტობა გინდა?

— არა, დრამატურგი ვარ! პიესა დავწერე და გთხოვთ დადგათ.

— დიდი ხანია დრამატურგი გახდი?

— ეს ჩემი პირველი პიესაა. კიდევ ორი მაქვს, მაგრამ ეს საუკეთესოა! — და სქელი რვეული მიაწოდა ლადოს.

ლადომ ერთგვარი შიშით შეხედა რვეულს, მერე ავტორს.

— ალბათ სამივე პიესა ამ რვეულშია, არა?

— არა, ბატონო! აქ ერთი პიესაა მხოლოდ.

— ხოო!

— მოკლე შინაარსს ეხლავე გიამბობთ...

არ დააცადა და მოყვა:

— ინგლისის ისტორიიდან არის. კრომველია მთავარი გმირი... — და სხაპა-სხუპით ჩამოთვალა ოციოდე ისტორიული სახელი. ქალაქები, დაბები, წლები, სხვადასხვანაირად გადახლართული ამბები...

— სისხლიანი ეპოქაა, ასე რომ 8 მკვლელობაა ამ პიესაში...

თავმომწონედ დაამთავრა პატარა დრამატურგმა.

ლადო ძალიან დაღონდა და ნაღვლიანად შეხედა ავტორს.

— კარგი, შვილო, წავიკითხავ და ჩემს აზრს მერე გეტყვი.

— პასუხისათვის ხვალ მოვიდე თუ ზეგ, ბატონო?

— არც მაზეგ, შვილო... ერთი კვირა მაინც მაცალე!

ლადომ პიესა წაიკითხა, როგორც იყო, და გვითხრა:

— ეს ბავშვი ძალიან სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს. სახელების, ფაქტების და თარიღების დახსომების უნარი კოლოსალური აქვს, აზრის თანმიმდევრობა — არავითარი. მისი, ასე ვთქვათ, პიესის ვერც დასაწყისი გავიგე, ვერც ბოლო, რაღაც აბდაუბდაა. ხვალ მოვა და აღარ ვიცი, რა მოვუხერხო. ლაპარაკში ეტყობოდა, რომ ზედმეტად თამამია და თავის თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს..

მეორე დღეს ავტორი მოვიდა. ლადომ ცალკე ოთხაში შეიყვანა და თითქმის საათი ელაპარაკა.

როდესაც ლაპარაკი გაათავეს, ყმაწვილი ისე გამოიყურებოდა, თითქოს აბანოდან იყო გამოსული და თავისი რვეულით ხელში დარცხვენილი წავიდა, ხოლო ლადო სავარძელში ჩაჯდა და მძიმედ ამოისუნთქა:

— ერთს ამისთანა საუბარს ფრანც მორის ათჯერ ზედიზედ თამაში მერჩია!

— მოაჭკვიანეთ?

— არ ვიცი... შემპირდა კი, რომ ჯერჯერობით პიესების წერას თავს დაანებებს და სერიოზულ სწავლას შეუდგება.

ლადოს დასში, მსახიობების გარდა, რამოდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელი ჰყავდა, სულ პატარა როლებს თამაშობდნენ, თითოოროლა წინადადებას წარმოსთქვამდნენ. მათი ჰონორარი სპექტაკლში 2-3 მანეთს უდრიდა. ზოგი კი უფასოდ მუშაობდა. — ოღონდ სცენაზე მამუშავეთ და ფული სულ არ მინდაო, — ამბობდნენ მიუხედავად ამისა, ლადო შეატყობდა თუ არა, რომ ახალგაზრდა ბეჯითია, უნარს და ზოგჯერ ნიჭსაც იჩენს, მაშინვე ჰონორარს დაუნიშნავდა.

და ამიტომაც მთელი მოწაფეობა, სტუდენტობა, თეატრის თანამშრომლები ეთაყვანებოდა რა ლადოს არტისტულ ნიჭს, ეთაყვანებოდა კიდევ მის შესანიშნავ კეთილ უანგარო გულს.

როდესაც ლადო ავად გახდა და მის დაზიანებულ ყელს სერიოზული მკურნალობა დასჭირდა, ახალგაზრდობის ინიციატივით შესდგა კომიტეტი თანხის შესაგროვებლად.

ქალი და ვაჟი ყველა ფეხზე დადგა. არ დაუტოვებიათ არც ერთი ქუჩა, არც ერთი სახლი, სადაც აბაზი მაინც ეგულებოდათ. ძალიან მალე დაგროვდა საგრძნობი თანხა— სამ ათას მანეთამდე და ლადო ვენაში წავიდა სამკურნალოდ.

მიხეილ ქოჩელი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არნო ონელი

ღამით ნასწავლ გაკვეთილებს
გადიკითხავს დილით კიდევ,
მერე უფრო პირმცინარე
მხარზე ჩანთას გადიკიდებს,

და სკოლისკენ ეშურება,
მიდის რბენით, მიდის ფრენით
მზის სხივები დაჰხარიან
ალმასებად დანაცვენი!

ერთი-ორი თუ ვინმეა,
იმათ შორის არის გელაც,
ჩამორჩენილ მოსწავლეებს
ეხმარება... უყვარს შველა.

არ იცილებს ხუთიანებს,
ოთხიანი რას მიქვიან?
კარგად იცის: სწავლის გმირებს
სულ ვაქებთ და სულ გვიქია!

ვით ოჯახი, ისე სკოლა
ალერსით და ქებით ამკობს,
ყოველი დღე განა ამას,
სულ ამას არ ლაპარაკობს?

სკოლის შემდეგ შინ ბრუნდება
სიმღერით და რბენა-ფრენით,
მზის სხივები დაჰხარიან,
ყვავილებით გზას უფენენ.

ისადილებს, დაისვენებს,
ეხმარება მერე მამას,
იქვე ბაღში რომ მუშაობს,
გულმოდგინედ კვლებს რომ ბარავს.

გელა ამბობს: სწავლა არის
ერთგული ძმა დიდი შრომის,
მხოლოდ შრომა,
მხოლოდ სწავლა
კაცს გახდისო კეთილშობილს.

გიორგი პაპიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალოდია რიბალოვსკი

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედნი პირნი

ვალოდია — პარტიზანული რაზმის ახალგაზრდა მზვერავი.

ჰაუპტმანი — გესტაპოს გამომძიებელი.

გერმანელი ეფრეიტორი—ჰაუპტმანის ხელქვეითი.

მოქმედება სწარმოებს 1943 წლის ზამთარში, გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე, უკრაინის ერთ-ერთ სოფელში.

სცენა წარმოადგენს ჰაუპტმანის სამუშაო ოთახს. ოთახში დგას მაგიდა, რამდენიმე სკამი. მაგიდაზე საველე ტელეფონი. კედელზე ჰიტლერის სურათი ჰკიდია. ოთახის მარჯვნივ ერთი ფანჯარაა. ფარდის ახდისას ჰაუპტმანი სწრაფად შემოდის.

* * *

ჰაუპტმანი — (ხელთათმანებს იძრობს და ხელებზე იბერავს) ახლა კი დავრწმუნდი, რომ რუსეთის სიცივე მართლა საშინელი და აუტანელი ყოფილა... (გარედან ხმაური შემოესმება) რა ხმაურია?

(გარედან ისმის ვალოდიას ხმამაღალი ძახილი) მომკალით! ოოხ... ჯალათებო! მაინც ვერაფერს მათქმევინებთ!

ჰაუპტმანი — (ზარს რეკავს).

ეფრეიტორი — (შემოდის). რას მიბრძანებთ, ბატონო ჰაუპტმან!

ჰაუპტმანი — რა ხმაურია, ვის აწამებენ?

ეფრეიტორი — თქვენის ბრძანებით № 15 პატიმარს აწამებენ, ბატონო ჰაუპტმან.

ჰაუპტმანი — (კმაყოფილებით). კარგია... არაფერს ამბობს?

ეფრეიტორი — სრულებით ვერაფერი ვერ ათქმევინეს, ბატონო ჰაუპტმან. გუშინდელს აქეთ მესამედ აწამებენ, მაგრამ ერთი სიტყვაც კი ვერ ათქმევინეს.

ჰაუპტმანი — (ღიმილით). არაფერს ამბობს? შესწყვიტონ წამება, თვით მე ავალაპარაკებ მას.

ეფრეიტორი — თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება, ბატონო ჰაუპტმან. (გასვლას აპირებს).

ჰაუპტმანი — ცხელი ყავა და ერთი ბოთლი კონიაკი მომიტანე, თორემ გავიყინე.

ეფრეიტორი — არის, მოგართვათ ცხელი ყავა და ერთი ბოთლი კონიაკი! (გადის).

ჰაუპტმანი — (მუქარით და თითის ქნევით) მართალია წამებას გადაგარჩინე, მაგრამ უარეს ტანჯვას ჩემგანვე ელოდე. (დაცინვით) შენისთანები უამრავი მინახავს და საიქიოსაც ბევრი გამიმგზავრებია. რაც უფრო მეტ საბჭოთა ადამიანს დავხოცავ, მით უფრო მეტი დაფასება მექნება და ჯილდოებსაც მივიღებ. (ტელეფონი რეკავს). გისმენთ. დიახ, ჰაუპტმანი გახლავართ. (მცირე პაუზის შემდეგ ფეხზე წამოდგება). დიახ, ბრძანეთ, ბატონო. ვალოდია რიბალევსკის დაკითხვა მე მაქვს დავალებული. ჯერჯერობით ვერაფერი ვათქმევინე, ერთი კვირაა თითქმის ყოველდღე ვაწამებ, მაგრამ ის, თავგანწირული, უარს აცხადებს ყოველგვარი ჩვენების მოცემაზე. (მცირე პაუზის შემდეგ). დიახ, დღეიდან გადაწყვეტილი მაქვს მაგ მეთოდს მივმართო, ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს. ჯიუტი და თავნება რუსია. ტკბილი, ალერსიანი მოპყრობით, ვფიქრობ, ალაპარაკდება და მიზანსაც მივაღწევთ. თუ არა და, რასაკვირველია, ორივე შემთხვევაში სიკვდილი მაინც არ ასცდება. (იცინის) უეჭველად, გადაეცით — სრული იმედი ჰქონდეს ბატონ გენერალს. დღეს საღამოს 8 საათზე თვითონ ვეახლები მისთვის სასურველი შედეგებით. გმადლობთ. (ლაპარაკს ამთავრებს და თავისთვის) ყოველ მიზეზს გარეშე, დღეს უნდა გამოვტეხო. ამ მზვერავის ვინაობით მეტად ყოფილა დაინტერესებული ჩვენი გენერალი.

ეფრეიტორი — (შემოაქვს ჭიქით ყავა და ბოთლით კონიაკი). ბატონო ჰაუპტმან, მიირთვით ცხელი ყავა და კონიაკი. (გასვლას აპირებს).

ჰაუპტმანი — ეფრეიტორ!

ეფრეიტორი — რას მიბრძანებთ, ბატონო ჰაუპტმან!

ჰაუპტმანი — მომიყვანე № 15 პატიმარი.

ეფრეიტორი — არის, მოგიყვანოთ № 15 პატიმარი! (გადის).

ჰაუპტმანი — (კონიაკს სვამს) მაშ, არ გამოტყდება? ჰა? ვნახოთ. (მაგიდის უჯრიდან რევოლვერს ამოიღებს, ასწევს მაღლა, შესცქერის და შესცინის). სამას სამოცდაოთხი საბჭოთა ახალგაზრდა გყავს მოკლული, ერთიც გაკლია და წლის თავს გადაგიხდი. აბა, ჩემო გულითადო მეგობარო. შენ იცი, ბევრისათვის დაგიბნელებია სინათლე და, იმედი მაქვს, მომავალშიც ერთგულად მემსახურო. (რევოლვერს მაგიდაზე სდებს) მზვერავი... (სიძულვილით), ვალოდია რიბალევსკი... ამ თითისტოლა გველის წიწილმა რამდენი ზარალი მოგვაყენა, ჩვენს საწინააღმდეგოდ პროკლამაციებით აავსო მოსახლეობა, სამჯერ ააფეთქა და ცეცხლი წაუკიდა ჩვენს საწყობებს, გუშაგები დაგვიხოცა და ვინ მოსთვლის რამდენი რამ აქვს ჩადენილი! განა ყოვე-

ლივე ამის შემდეგ დასანდობი არიან საბჭოთა ახალგაზრდები?! (ფეხზე დგება). არა... მათს გულს ვერავითარი მალამო ვერ მოალბობს გარდა გერმანული ტყვიისა. სიკვდილი და ჩამოხრჩობა ყველა საბჭოთა ახალგაზრდას. (მარჯვენა ხელს ასწევს მაღლა და მიესალმება ჰიტლერის სურათს). ასე მოგვიწოდებს ჩვენი მამამთავარი, ჰაილ ჰიტლერ!

ეფრეიტორი — (შემოდის) ბატონო ჰაუპტმან, ნება მომეცით № 15 პატიმარი შემოვიყვანო.

ჰაუპტმანი — **შემოათრიე.**

ეფრეიტორი — არის, ბატონო ჰაუპტმან, (გადის). ჰაუპტმანი დუმილს მიეცემა, შემდეგ პაპიროსს ამოიღებს.

ეფრეიტორს შემოჰყავს სახედასისხლიანებული, თმაგაწეწილი ვალოდია, რომელსაც კისერზე დაკიდული აქვს ფანერის ოთხკუთხედი ნაჭერი, წარწერით — „15“).

ეფრეიტორი — **აქ დადექი.** (ჰაუპტმანს) **ბატონო ჰაუპტმან, ნება მომეცით დაგტოვოთ.**

ჰაუპტმანი — **წადი.** (ეფრეიტორი გადის. ჰაუპტმანი ირონიული ღიმილით უახლოვდება ვალოდიას) **აა... გაჩარჯობა ვალოდია** (ხელს ართმევს, შემდეგ მხარზე დაადებს ხელს, სახეზე შეაცქერდება და თითქოს განცვიფრდება). **ამას რას ვხედავ!** (გაბრაზებული) **ვინ გაბედა შენი ხელის ხლება! რამდენჯერ გავაფრთხილე, რომ კარგად მოექეცით და საუკეთესო პირობებში გყავდეთ, მეთქი. მე იმ თავხედებს ვუჩვენებ, თუ როგორ უნდა ცემა, ჩემი ბრძანების შეუსრულებლობისათვის შავ დღეს დავაყენებ.**

ვალოდია — **ნუ შესწუხდებით, ჩემი გულისთვის ნურავის დასჯით, ისინი თქვენს ბრძანებებს კვლავ უცვლელად შეასრულებენ.**

ჰაუპტმანი — **დამაცადონ, მე მაგათ ვაჩვენებ, ახლა მაგათთვის არა მცალიან და მერე შენ თვითონ იქნები მოწმე, თუ რა დღეს დავაყრი მაგ არამზადებს!** (მცირე პაუზა) **მოიწი ახლოს, ჩამოჯექ სკამზე, დაისვენე. თუ გცივა, ნუ მომერიდები, ცხელი ყავა დალიე.** (ჭიქას ხელს ჰკიდებს) **ო... ეს არ ივარგებს, ძალზე გაცივებულა.** (ზარს რეკავს. შემოდის ეფრეიტორი).

ეფრეიტორი — **რას მიბრძანებთ, ბატონო ჰაუპტმან!**

ჰაუპტმანი — (ირონიით) **ჩვენს ვალოდიას ცხელი ყავა მოართვი!**

ეფრეიტორი — (ღიმილით და თავის ქნევით) **ბატონო ჰაუპტმან, თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება.** (აპირებს გასვლას).

ჰაუპტმანი — **ჰო, თეთრ პურზე სქელად წასმული კარაქი და თაფლიც.**

ეფრეიტორი — **მესმის, ბატონო ჰაუპტმან.** (გადის).

ჰაუპტმანი — (ვალოდიას) **ნუ გერიდებათ, მომიახლოვდით** (ჭიქით კონიაკს აწვდის), **ვიდრე ყავას მოიტანდნენ, ეს ერთი ჭიქა კონიაკი დალიეთ, გათბებით.**

ვალოდია — **გმადლობთ, მე კონიაკს არ ვსვამ.**

ჰაუპტმანი — **კარგი, არ დაგაძალებთ. მაშ ამ ჭიქით ჩვენს შერიგებას გაუმარჯოს** (კონიაკს სვამს). **უჰ, კონიაკი ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კი ასეთ სიცივეში.** (პაპიროსის ყუთს ხსნის და უწვდის ვალოდიას) **ვალოდია, პაპიროსი მოსწიეთ.**

ვალოდია — **არც პაპიროსს ვეწევი.**

ჰაუპტმანი — **ძალიან კარგი, მომწონს, რომ მაგარ სასმელებს არ სვამ, არც პაპიროსს ეწევი. ვალოდია, მოიწი ახლოს, დაჯექი სკამზე და მოვისაუბროთ, მხოლოდ გულახდილად და მეგობრულად. ახა, მითხარი, რად გინდა, რომ შენი თავიც ტყუილუბრალოდ აწვალო, ახალგაზრდამ სიცოცხლე და ბედნიერი მომავალი დაკარგო, დაფიქრდი კარგად.** (მცირე პაუზა). **შენი ბედნიერება და უბედურება შენს ხელთ არის და რომელიც გინდა აირჩიე, მხოლოდ მე მინდა გაგაფრთხილო, რომ დღეს უკანასკნელად გკითხავთ და გირჩევთ გულახდილობას. მე ბევრ რამეს არ მოგთხოვთ. მიპასუხეთ მხოლოდ ერთ შეკითხვაზე, — სოფლებში რომ დიარებოდით, ვისთან გქონდათ კავშირი და რა დახმარებას გიწევდნენ თქვენს მიერ მიტანილი პროკლამაციებისა და, ბოლო დროს კი, ჰიტლერის კარიკატურის გავრცელებაში?** (მაგიდიდან იღებს პლაკატს, რომელზედაც დახატულია ჰიტლერის კარიკატურა: ჰიტლერს ხელში სისხლიანი ნაჯახი უჭირავს, კარიკატურის ქვეშით წარწერაა — „ჯალათი“). **ეს ხომ თქვენ აღმოგაჩნდათ უბეში, როცა დაგაკავეს.**

ვალოდია — **დიახ, მე აღმომაჩნდა. მხოლოდ თქვენ სცდებით, ეგ სურათი ჰიტლერის კარიკატურა არ არის, ჩემის აზრით, ეს ჰიტლერის ნამდვილი სურათია.**

ჰაუპტმანი — **ვალოდია, იცოდე, რომ მეორედ ასეთ თავხედობას არ გაპატიებ, შენ ჯერ ძალზე ახალგაზრდა ხარ და ამიტომაც არ იცი, თუ როგორი სიტყვებით უნდა მოიხსენიო მთელი მსოფლიოს ხალხების მამამთავარი. იღბალი შენი, რომ მე შეგხვდი და პატივსა გცემ, თორემ სხვა. ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, მაგისთანა თავხედური სიტყვებისათვის ცოცხალს არ გაგიშვებდა, ხის კენწეროზე დაგკიდებდა.**

ვალოდია — **ჩემი სიკვდილით დასჯა, თქვენი ნებაა, მხოლოდ ნურც ისე უსუსურ ბავშვად ჩამთვლით, თითქოს არაფერი გამეგებოდეს. 17 წელი შემისრულდა, მესამე წელიწადია, რაც ჰიტლერის რეჟიმს ვადევნებ თვალყურს, მაგრამ ხალხის საკეთილდღეოდ გაკეთებული არაფერი მინახავს. ჰიტლერის ბრძანებით თქვენმა ჯარისკაცებმა დედაჩემი ჩამოახრჩეს, დები და ძმები მომიკლეს, საბჭოთა სოფლები და ქალაქები ფერფლად აქციეს. სხვა რაღა ვთქვა! განა თქვენ უფრო კარგად არ იცით?**

ჰაუპტმანი—**კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, ზედმეტ ლაპარაკს თავი დაანებო და გამცე სწორი პასუხი. სთქვი, რომელი პარტიზანული რაზმის მზვერავი ხარ და სად არის მისი ადგილსამყოფელი!**

ვალოდია — **დღესაც იმას გეტყვით, რაც გუშინ გითხარით, მე მზვერავი ვარ არა მარტო პარტიზანული რაზმისა, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისა. საიდან და რისთვის დავდიოდი, ეს ყველაფერი მხოლოდ მე უნდა ვიცოდე და სხვამ არავინ, ვინაიდან რასაც თქვენ მეკითხებით, სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, რომლის გამხელას ვერ მაიძულებთ.**

ჰაუპტმანი — **შენ კიდევ შენებურად დაიწყე ბოდვა. ჯიუტობა არ გამოგადგება. შენთვის უმჯობესია მითხრა ყველაფერი და განთავისუფლდე, თუ**

არა და, ხომ იცი, რაც მოგელის (რევოლვერზე მიუთითებს). კარგად უყურე. აბა, მითხარი, რად გინდა გავბოროტდე, ცემას, ყვირილს არა სჯობს, წესიერად ვისაუბროთ!

ვალოდია — სამართლიანი ბრძანებაა, ცემა და ყვირილი რა საჭიროა, მაგრამ როცა ეს მეთოდი თქვენთვის აუცილებელია, რა გაეწყობა! იმოქმედეთ, როგორც გენებოთ!

ჰაუპტმანი — რას იზამ, როცა შენთან კარგი არ გადის, ეხლა მე ვიცი როგორც გაგიმასპინძლდები. (ზარს რეკავს, თან ყვირის) ეფრეიტორ!

(შემოდის ეფრეიტორი)

ეფრეიტორი — რას მიბრძანებთ, ბატონო ჰაუპტმან!

ჰაუპტმანი — გადაეცი ჩემი ბრძანება—გააცხელონ რკინები და სახრჩობელაც მოამზადონ!

ეფრეიტორი — არის, ბატონო ჰაუპტმან. (გადის).

ჰაუპტმანი — (ვალოდიას) ახლა რაღას იტყვი? (დაცინვით). ორატორო, იტყვი, თუ...

ვალოდია — ახალს არაფერს.

ჰაუპტმანი—არ იტყვი და ხომ კარგად გაიგე, რაც მოგელის. გავარვარებული რკინები და... მერე სახრჩობელაც.

ვალოდია — სახრჩობელა მე არ მაშინებს.

ჰაუპტმანი—ხმა! კრინტი! მე შენ გიჩვენებ (ფანქარს მძლავრად უკაკუნებს მაგიდას) შე არამზადა! (ფანქარი ხელიდან გაუვარდება და იატაკზე დაეცემა, დაიხრება მის ასაღებად).

ვალოდია — (გაბედულად, თავისთვის) სულ ერთია, სიკვდილი არ ამცდება. (მაგიდიდან სწრაფად აიღებს რევოლვერს და უმიზნებს დახრილ ჰაუპტმანს)..

ჰაუპტმანი — (წელში სწორდება) შე ძაღლის შვილ...

ვალოდია — არ გაინძრე, ხმა არ ამოიღო, თორემ ახლავე გაგათავებ, შე მართლა ძაღლის შვილო!

ჰაუპტმანი — ვალოდია...

ვალოდია — ხელები მაღლა! (უკან-უკან იხევს და კარებს ჰკეტავს. ჰაუპტმანი ხელებს მაღლა ასწევს). ამ რევოლვერს ხომ კარგად იცნობ, კარგად უყურე ვინ გახდება ამის მსხვერპლი.

ჰაუპტმანი — (შეშინებული) ვალოდია!

ვალოდია — დიახ, მე გახლავარ ის ახალგაზრდა ვალოდია, რომელსაც თითქოს არაფრის გაგება შეეძლო. (კისრიდან მოიგლეჯს ჩამოკიდებულ ნომერს და ესვრის) ეს ნომერი ახლავე ჩამოიკიდე კისერზე. ჩვენში ნომრებს ძაღლებს აბამენ და შენც ხომ გერმანელი ძაღლი ხარ. ჩამოიკიდე, მეთქი.

ჰაუპტმანი — ახლავე, ვალოდია... (ნოქერს კისერზე ჩამოიკიდებს).

ვალოდია — მაგიდიდან აიღე ჰიტლერის სურათი, რომელსაც შენ კარიკატურას უწოდებ, მიტრიალდი, ჩამოხიე კედელზე მიკრული სურათი და მის მაგივრად ეს გაიკარი.

ჰაუპტმანი — ახლავე, ახლავე, ბატონო ვალოდია! (კედელზე გაკრულ ჰიტლერის სურათს ჩამოხევს და მის მაგივრად გააკრავს ჰიტლერის კარიკატურას).

ვალოდია — (დაცინვით) მშიშარა, აქამდის ჩამოსახრჩობად გინდოდი, ახლა კი ბატონიც გავხდი. ჩამოხეული ჰიტლერის სურათი მაგრა ჩაიკარ გულში. (ჰაუპტმანი გულში იკრავს ჰიტლერის სურათს). რახან ძალიან გყვარებია ჰიტლერი, კარგად მიყურე და მოისმინე საბჭოთა ხალხის განაჩენი: უდანაშაულო ბავშვების, ქალებისა და მოხუცების სიკვდილით დასჯისათვის, დაე შენმავე რევოლვერმა იძიოს შური შენზე და სამართალი მოგთხოვოს... შენ უნდა მოკვდე...

ჰაუპტმანი — ვალოდია... (მუხლებზე დაჩოქილი ევედრება) ნუ მომკლავ! შემიბრალე! (სწრაფად წამოავლებს სკამს ხელს და ჰაერში აიტაცებს ვალოდიაზე დასარტყმელად) შე გველის წიწილო!

ვალოდია— მოკვდი. ძაღლო! (ესვრის და ჰკლავს. თავისთვის) საცაა აქ ეფრეიტორი მოვარდება, მას ეგონება, თითქოს მე მომკლა მისმა ჰაუპტმანმა. (ფეხის ხმა მოესმის, სწრაფად ფანჯარასთან მივა და გამოაღებს, რევოლვერს მოიმარჯვებს) სიკვდილი ფაშიზმს! გაუმარჯოს დიდი სტალინს! (ფანჯრიდან გადახტება).

ფ ა რ დ ა

უწვავი ცელულოიდი

ძმრის სიმჟავით გადამუშავების შედეგად და, აგრეთვე, სპირტისა და ბენზოლის დახმარებით სწავლულებმა ბამბისაგან მიიღეს ახალი უწვავი პლასტიკური ნივთიერება — ცელონი, რომელიც ჩვეულებრივი ცელულოიდისაგან იმ დადებითი თვისებებით განსხვავდება, რომ მას ცეცხლის ალი არ ეკიდება.

ცელულოიდი გათბობის დროს იმდენად პლასტიკური ხდება, რომ მისგან შეიძლება გავაკეთოთ სხვადასხვა ფორმის ნაწარმი.

ცელონის გამსჭვირვალე ფურცლების ხმარება მინის მაგივრად იწყეს დირიჟაბლებსა და თვითმფრინავებში. ეს არის პირველი უმსხვრევი მინა. ჩვეულებრივ მინისაგან განსხვავებით შეიძლება მისი დაჭედვა ლურსმნებით ჩარჩოებზე. ცელონის მინა არ სკდება და არც ტყდება.

ამ ახალ მასალებს თავისი პლასტიკური თვისებების გამო უწოდეს საერთო სახელი — პლასტიკური მასა (პლასტმასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუტუზოვი

დიდი რუსი მხედართმთავარი, 1812 წლის სამამულო ომის გმირი, მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვი დაიბადა 1745 წლის 5 (16) სექტემბერს ქ. პეტერბურგში. მამამისი — ილარიონ მათეს-ძე სამხედრო ინჟინერი და დიდად განათლებული იყო, დედა კი — ოჯახის მოყვარული და ნათელი გონების ადამიანი. ამგვარმა ოჯახმა პატარა მიხეილს ღრმად ჩაუნერგა შრომისა და ცოდნისადმი სიყვარული.

1757 წელს კუტუზოვი საინჟინრო საartილერიო სკოლაში მიაბარეს. აქ მიხეილმა გულმოდგინედ შეისწავლა სამხედრო ისტორია, ტაქტიკა და ჩინებულად დაეუფლა არტილერიისა და საინჟინრო საქმეს. უყვარდა ისტორია და ლიტერატურა. შეისწავლა უცხო ენები — ფრანგული, გერმანული, ლათინური, ხოლო შემდგომ — შვედური, ინგლისური, თურქული და პოლონური.

1761 წელს კუტუზოვმა პრაპორშჩიკის ხარისხით ასტრახანის ქვეით პოლკში დაიწყო სამსახური. მაშინ ამ პოლკს სახელგანთქმული სარდალი სუვოროვი მეთაურობდა. აქ პირველად განიცადა მიხეილ კუტუზოვმა სუვოროვის გავლენა და შემდეგ მისი ღირსეული მოწაფე გახდა.

1774 წლიდან კუტუზოვი ყირიმის უბანზე მოღვაწეობდა. აუშტის მახლობლად თურქების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლებში კუტუზოვი მძიმედ დაიჭრა: ტყვია მოხვდა მარცხენა საფეთქელში და გავიდა მარჯვენა თვალთან, კუტუზოვი გადარჩა, ხოლო თვალი დაჰკარგა.

მიხეილ კუტუზოვმა მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის მეორე ომში (1787-1791.). ამ დროს ის უკვე გენერალ-მაიორი იყო. ოჩაკოვის გარემოცვის დროს კუტუზოვმა ახალი მძიმე ჭრილობა მიიღო, მაგრამ კვლავ გადარჩა.

1790 წლის დეკემბერში კუტუზოვი სუვოროვთან ერთად თურქეთის ციხე-სიმაგრის იზმაილის იერიშში მონაწილეობდა. სასტიკი ბრძოლების შემდეგ იზმაილი აღებულ იქნა. ამ ბრძოლებში კუტუზოვმა გამოავლინა დიდი სამხედრო ნიჭი. სუვოროვმა კუტუზოვის შესახებ სთქვა: „იგი მიდიოდა ჩემს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ ჩემი მარჯვენა ხელი იყო“. იზმაილის აღებაში მამაცობის გამოჩენისათვის მიხეილ კუტუზოვი გიორგის III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და გენერალ-პორუჩიკობა მიანიჭეს.

კუტუზოვი არა მარტო შესანიშნავი მხედართმთავარი, არამედ შესანიშნავი დიპლომატიც იყო. 1793-94 წლებში კუტუზოვი რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია კონსტანტინოპოლში (სტამბოლში).

* * *

1805 წელს ევროპაში საომარი მოქმედება დაიწყო ნაპოლეონის წინააღმდეგ. რუსეთმა კუტუზოვის სარდლობით 50 ათასიანი ჯარი გაუგზავნა დასახმარებლად ავსტრიას. ვიდრე ეს ჯარი ავსტრიის ჯარებთან შეერთებას მოასწრებდა, ფრანგებმა ნაპოლეონის მეთაურობით დაამარცხეს ავსტრიელები. მიხეილ კუტუზოვის 50.000-ანი ლაშქარი პირისპირ აღმოჩნდა ფრანგების 200.000-იანი არმიის წინაშე. ამ პირობებში მტერთან პირისპირ შებმას კუტუზოვმა აქტიური თავდაცვითი ოპერაციის წარმოება არჩია. რუსეთის ჯარების უკან გამოყვანით, მტრის ცალკეულ შენაერთზე მაგარი დარტყმებით კუტუზოვმა დააბნია, მოჰქანცა ფრანგები და თვითონ მიაღწია სტრატეგიულ წარმატებას.

1812 წლის 12 (24) ივნისს ნაპოლეონი შემოიჭრა რუსეთში. დაიწყო რუსი ხალხის სამამულო ომი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

17 (29) აგვისტოს რუსეთის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა მიხეილ კუტუზოვი. არმია და ხალხი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ ცნობას.

1812 წლის 26 აგვისტოს (7—სექტემბერს) მოსკოვის ახლოს ბოროდინოს ველზე გაიმართა დიდი ბრძოლა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ნაპოლეონისა და კუტუზოვის არმიები. ფრანგები ბოროდინოს ველზე წააწყდნენ რუსე-

ის მხრივ წარმოუდგენელ წინააღმდეგობას. რუსი ჯარისკაცები გააფთრებით იბრძოდნენ. ამ ბრძოლებში ნაპოლეონმა სამარცხვინო დამარცხება განიცადა. ეს იყო პირველი გენერალური ბრძოლა, რომელიც ნაპოლეონმა წააგო. მან ლამით გაიყვანა ჯარი ბოროდინოს ველიდან, სადაც 58 ათასზე მეტი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და 47 გენერალი დატოვა.

ბოროდინოს ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებისათვის სახელგანთქმულ სარდალს — მიხეილ კუტუზოვს ძიენიჭა გენერალ-ფელდმარშლის სამხედრო წოდება და დააჯილდოვეს გიორგის I ხარისხის ორდენით, მაგრამ რუსეთის არმიასაც თავის მხრივ ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა. ამიტომ შეძლეგ ბრძოლის განახლებას კუტუზოვმა არჩია უკან დახევა. სოფელ ფილ'ში გაძართულ სამხედრო თათბირზე კუტუზოვის წინადადებით მიღებულ იქნა ბრძანება ქ. მოსკოვის დატოვების შესახებ. ეს უნდა მომხდარიყო არმიის შენარჩუნებისათვის, რომ მომზადებულიყო პირობები ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის.

რუსეთის არმიამ მოსკოვზე გავლით ტარუტინოსკენ დაიხია.

ნაპოლეონის ჯარები მოსკოვში შევიდნენ, მაგრამ რუსეთის არმიის მიერ მოსკოვი გარშემორტყმულ იქნა. ნაპოლეონის არმიის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. ნაპოლეონი მიხვდა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო ბრძოლის გაგრძელება და დასტოვა მოსკოვი. უკანდახეულ ფრანგებს დღედაღამ ურტყამდა რუსეთის არმია. სმოლენსკის გზა, რომლითაც ნაპოლეონის არმია უკან იხევდა, მისთვის აღსასრულის გზა გახდა.

1812 წლის 2 (14 დეკემბერს) ფრანგების ჯარისკაცების ნაშთებმა დასტოვეს რუსეთის ტერიტორია. ნაპოლეონის 600.000-ანი არმიიდან გადარჩა რაღაც 30.000-მდე ილაჯგაწყვეტილი ჯარისკაცი. თვითონ ნაპოლეონმა გაქცევით უშველა თავს.

ასე ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა დიდმა რუსმა ხალხმა 1812 წლის სამამულო ომი, რუსეთის არმიამ მიხეილ კუტუზოვის ნიჭიერი სარდლობით გამანთავისუფლებელი ომი გადაიტანა მტრის ტერიტორიაზე. მას ევროპის ქვეყნების ხალხისათვის გამანთავისუფლება მიჰქონდა. რუსეთის არმიის უდიდესი ტრიუმფის დღეებში კუტუზოვი გაცივდა და 1813 წლის 28 აპრილს გარდაიცვალა ქ. ბუნცლაუსში (სილეზია). მისი ცხედარი შემურვეს და ქ. პეტერბურგს გადმოასვენეს. კუტუზოვის გული კი დაასაფლავეს პატარა სასაფლაოზე ბუნცლაუს ახლოს.

ქ. ბუნცლაუს მოედანზე მიხეილ კუტუზოვს აუგეს ძეგლი წარწერით: „ამ ადგილამდე სარდალმა კუტუზოვმა მოიყვანა რუსების ძლევამოსილი ლაშქარი და აქ სიკვდილმა ზღვარი დაუდო მის საგმირო საქმეებს. მან იხსნა თავისი მამული და გზა გაკაფა ევროპის გასანთავისუფლებლად. კურთხეულ იყოს გმირის ხსოვნა".

* * *

საბჭოთა ხალხი წმინდად ინახავს მისი ერთ-ერთი უდიდესი და უნიჭიერესი შვილის მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვის ხსოვნას. 1941 წლის 7 ნოემბერს, სამამულო ომის მძიმე დღეებში, წითელ მოედანზე ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა არმიის ნაწილებისადმი მიმართულ სიტყვაში თქვა: „დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე".

1942 წლის 29 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა კუტუზოვის ორდენი, რომლითაც აჯილდოებენ საბჭოთა არმიის მეთაურებს.

საბჭოთა არმიამ მემკვიდრეობად მიიღო საუკეთესო ტრადიციები რუსული სამხედრო ხელოვნებისა, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი კუტუზოვი იყო.

მიხეილ კუტუზოვი იყო სახალხო გმირი, მისი სახე საბჭოთა ადამიანებისათვის დიდი, თავდადებული პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის განსახიერებაა.

მ. ჯინჭველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინელი ამბავი

სერგეი მიხალკოვი



მოძრაობაა ქალაქში სწრაფი,
ჰქრის მანქანების წყება,
და შუქნიშანი გზას სხვადასხვაფერ
სინათლით ეშუქება.

სად ტრამვაები გაჩქარებულნი
აჟღრიალებენ ზარებს,
იქ როდი ვარგა, პირდაღებული
ცაში ითვლიდეთ ყვავებს!

მაგრამ ვინ არის იქ წითელ სხივზე
რომ გარბის, როგორც შლეგი?
ოჰ, ეს პატარა რეზოა ისევ,
ცრუპენტელა და ცელქი.

— ბიჭო, საითკენ მიეჩქარები?
ისმის საყვირთა ხმები...
სურთ შეაჩერონ ბორბალ-ძრავები,
ღელავენ შოფერები.

შუბლზე ჩამოსდით ოფლი ღვარებად,
გვერდი უქციეს მარცხნივ;
სულ ერთი თვალის დახამხამება,
და მოხდებოდა მარცხი.

ამის მნახველი, ქალი თუ კაცი,
შიშით გაფითრდა ყველა:
კინაღამ რეზო გასრისეს თვალწინ,
ცელქი და ცრუპენტელა.

რეზო კი წესებს დაცინვით უმზერს,
ამით ამაყობს დიდად;
იქვე ისკუპა და სახელურზე
ტრამვაის დაეკიდა.

აქ უბილეთო არ არის ერთიც,
ზოგი ზის, ზოგნი დგანან.
ვთქვათ და მოსთხოვეს რეზოს ბილეთი,
ვერ გადახტება განა?

მაგრამ კონდუქტორს ხელი აქვს მარდი,
სწვდა საყელოში ხელად;

—რეზო, შენ კიდევ არ მოჭკვიანდი,
ცელქო და ცრუპენტელავ?!

☆

ჰა ტრამვაიში, ვაგლახით, ხვნეშით,
შემოდის ხეიბარი:
აღარ აქვს ფეხი ერთ ფეხსაცმელში,
სულ თორმეტი წლის არი.

ის, ვინც არღვევდა ყოველგვარ წესებს,
გმირად მოჰქონდა თავი,
ხედავთ, შემდგარი ორ ყავარჯენზე
ქანაობს საცოდავი.

არა, მას მტერთანაარ უბრძოლია,
რომ გვაყრუებდა კვეხნით,
მისაბმელ ვაგონს ქვეშ მოჰყოლია,
იქ დაჰკარგვია ფეხი.

თუ ტრამვაიში უჭირს შემოსვლა,
ცაში ვერ იფრენს მგონი...
ვერც ტანკს წაიყვანს და არც ცხენოსნად
ჩარიცხავს ბუდიონი.

მისი სახელი რომ არის რეზო,
ქალაქში იცის ყველამ.
—ოხ, რატომ იყო საწყალი ბიჭი
ცელქი და ცრუპენტელა!

გადმოკეთებული **დ. გაჩეჩილაძის** მიერ.



ფუტკარი

ქეთევან ქორაშვილი

☆

ფუტკარი მეტად სასარგებლო და შრომისმოყვარული მწერია. ადამიანი მისგან ღებულობს თაფლს. ამიტომ ფუტკრის მოშენებას დიდი ყურადღება ექცევა.

ფუტკარი ტყეში ხის ფუღუროში ცხოვრობდა. ტყიდან იგი ადამიანმა თავისი საცხოვრებელი ბინის ახლო გადმოიყვანა, გაუკეთა საგანგებო სადგომი—სკა და დაიწყო ზრუნვა მისი გამრავლების და მოშენებისათვის.

ახლაც ბევრგან ცხოვრობს ტყეში ფუტკარი, და თუ ადამიანმა მიაგნო მას, გადმოჰყავს თავის მიერ გაკეთებულ სკაში.

კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას აქცევენ ფუტკრის მოვლა-მოშენებას. თითქმის ყველგან შეგხვდებათ კოლმეურნეობაში სკა.

ფუტკრის ცხოვრება მეტად საინტერესოა. ამ კეთილი მწერების ოჯახი შესდგება ერთი დედა ფუტკრისაგან, რამოდენიმე ათეული მამალი ფუტკრისა და ათასეული მუშა ფუტკრისაგან.

მუშა ფუტკარი

დედა ფუტკარი

დედა ფუტკარი მათ შორის ყველაზე დიდია. ჩვეულებრივ ოჯახში ერთი დედა ფუტკარია, მაგრამ თუ ოჯახში მეორე დედა ფუტკარიც გაჩნდა, მაშინ მათ შორის იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი იღუპება.

მამალი ფუტკარი განირჩევა სხვა ფუტკრებისაგან დიდი თავითა და სქელი ბლაგვი მუცლით. მამალი ფუტკრები არავითარ მუშაობას არ ეწევიან, არც მინდვრად და არც სკაში. ისინი საჭირონი არიან მხოლოდ გამრავლებისათვის. ერთი მამალი ფუტკარი სჭამს იმდენს თაფლს, რამდენიც სჭირდება ხუთ მუშა ფუტკარს. ამისათვის მეფუტკრემ უნდა ეცადოს სკაში ზედმეტი მამალი ფუტკარი არ გაჩნდეს.

დედა ფუტკარი გაზაფხულზე იწყებს კვერცხების დებას ფიჭის პატარა უჯრედებში, რომლებსაც წინასწარ ასუფთავებენ ფუტკრები. მათ ძლიერ უყვართ სისუფთავე, არასოდეს არ გააჩერებენ სკაში რაიმე ჭუჭყს. ფუტკრებს შრომა განაწილებული აქვთ. ზოგი ასუფთავებს სკას, ზოგი ფიჭებს უვლის, ზოგი გუშაგობს სკის შემოსასვლელში, რათა ქურდი ფუტკრები ან მტერი არ შეეპაროთ, როგორიცაა კრაზანა, რჩილის პეპლები, თაგვი და სხვა. არის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევა, როდესაც სკაში შეიპარება დიდი პეპელა ან თაგვი, მათ დაეხვევიან ფუტკრები, დაუწყებენ კბენას და მოჰკლავენ. მაგრამ, ვინაიდან არ შესწევთ ძალა გარეთ გამოათრიონ, ამიტომ იქვე „დამარხავენ". გარშემო შემოადებენ სანთლის მსგავს ნივთიერებას, რომელსაც პროპოლისი ეწოდება, და კარგად გადალესავენ.

ყოველგვარ სამუშაოს ოჯახში ასრულებენ მუშა ფუტკრები. ისინი აგროვებენ საკვებს მარაგს ზამთრისათვის — ამზადებენ თაფლს.

ფუტკრის სხეული

დედა ფუტკარი კვერცხებს რომ დადებს, კვერცხიდან სამი დღის განმავლობაში გამოიჩეკებიან პატარა ჭიები, რომლებსაც ძიძა ფუტკრები აწვდიან საკვებს. ისინი თაფლიდან და ყვავილის მტვრისაგან ამზადებენ რძის მაგვარ საკვებს, რომლითაც ჰკვებავენ პაწია ჭიებს. ეს ჭიები სამი-ოთხი დღის განმავლობაში იზრდებიან, იცვლიან სახეს და გადაიქცევიან ჭუპრებად. რამოდენიმე დღის შემდეგ ფუტკრები გადაბეჭდავენ უჯრედებს სანთლის თხელი ფენით. გადაბეჭდილი ჭუპრი უჯრედში რამოდენიმეჯერ იცვლის სახეს, რომლის დროსაც იგი გადაიქცევა ნამდვილ ფუტკრად. გახვრეტს სანთლის აპკს, გამოვა გარეთ და, ერთი-ორი დღის შემდეგ, შეუდგება შრომას სხვა ფუტკრებთან ერთად.



ფუტკრის თავი

არც დედას და არც მამალ ფუტკრებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საკვების მოპოვება. მათ ჰკვებავენ ისევ მუშა ფუტკრები. ისინი პირში ააგროვებენ საკვებს, ჩაუყოფენ თავიანთ პატარა ხორთუმს დედა ან მამალ ფუტკარს პირში და ასე აწოდებენ საკვებს.

ყველა ფუტკარი კარგად იცნობს თავის სკას. არასოდეს ის სხვის ბინაში არ შეფრინდება, თუმცა არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ქურდობის მიზნით ცდილობენ შეიპარონ მეზობელ სკაში.

ზამთრის პერიოდში, დაწყებული ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან გაზაფხულის თბილი დღეების დაწყებამდე, ფუტკარი იმყოფება სკაში. ამ ხნის განმავლობაში ის მხოლოდ იკვებება მის მიერ შეგროვილი თაფლით. როგორც კი დადგება თბილი დღეები, ხეხილი და ყვავილნარი მცენარეები აყვავდებიან, ფუტკარიც იწყებს გარეთ გამოფრენას და საზრდოს შეგროვებას.

ფუტკრის ხორთუმი

მუშა ფუტკარი ხორთუმით ყვავილიდან იღებს ტკბილ სითხეს — ნექტარს. ხორთუმიდან ნექტარი გადადის პირში, შემდეგ კი საყლაპავი მილით ჩადის, ეგრეთწოდებულ, ჩიჩახვში. ფუტკარი გაივსებს რა ჩიჩახვს ნექტარით, იმ წუთს გაფრინდება სკისაკენ. სკაში მას შეხვდება ახალგაზრდა მუშა ფუტკარი, რომელსაც გადასცემს — გადაუსხამს ნექტარს და ისევ უკან გაფრინდება მინდორ-ველისაკენ. ახალგაზრდა ფუტკრები კი წაიღებენ ნექტარს და ჩაასხამენ ფიჭის უჯრედებში. ამ უჯრედებში ჩასხმული ნექტარი ჯერ კიდევ არაა თაფლი. მას კიდევ ესაჭიროება შემდგომი გადამუშავება, რომელსაც ისევ ახალგაზრდა ფუტკრები ასრულებენ. ნექტარს ფიჭის უჯრედიდან ამოსწოვენ ხორთუმით, დაიგროვებენ პირში და რამოდენიმე ხნის განმავლობაში ამოძრავებენ პირს, რომლის დროსაც ნექტარს შეერევა ერთგვარი ნივთიერება, რომელიც ფუტკრების სანერწყვე ჯირკვლებში გამომუშავდება. გადამუშავებულ ნექტარს ჩაასხამენ ისევ უჯრედებში, რომელსაც უკვე თაფლის სახე აქვს მიცემული, მაგრამ ცოტათი თხელია. რამოდენიმე ხნის შემდეგ ის უფრო გასქელდება ზედმეტი სითხის აორთქლების გამო და მიიღებს თაფლის სახეს.

სასურველია პიონერ-მოსწავლეებმა შეისწავლონ ფუტკრის — ამ მეტად სასარგებლო მწერის ცხოვრება და მიიღონ მონაწილეობა მის მოშენებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკაგმოვენი

(მოხეტიალე მუსიკოსის ჩანაწერებიდან)

მოსკოვში, „ნოვინსკი ბულვარის“ ქუჩაზე, სწორედ მომღერალ თეოდორე შალიაპინის სახლის პირდაპირ, ერთი მდიდრის განმარტოებული სახლიც იდგა. სახლი იყო თეთრი, გრძელი და ერთსართულიანი. ალაყაფი ჰქონდა რკინის და თავიდან ბოლომდე სქელი თუნუქით აჭედილი. არ ვიცი ეს ალაყაფი როდის იღებოდა, ან როდის იხურებოდა, ხოლო მე კი, არც ავლილს და არც ჩავლილს, ღია არ დამინახავს. შესვლა და დაკვრა ამ სახლის ეზოშიც ყოველთვის ძალიან მინდოდა.

ერთხელ ამ ბულვარზე გავლით შინ ვბრუნდებოდი. ეზოებში ბევრი დაკვრით და სიარულით ისე ვიყავ დაღლილი, რომ ფეხებს ძლივსღა მოვათრევდი, მაგრამ დახეთ, მდიდრის სახლის ალაყაფი ღია დავინახე! ეთბაშად მოვცოცხლდი, უყოყმანოდ გადავდგი ფეხი და შევედ მის ეზოში.

ეზოში ერთსართულიანი, მაგრამ დაბალი და მრავალ ბუნაგად დაყოფილი შენობა იდგა.

დამკვრელს არავინ გამომხვედა, — არც კარებებიდან და არც ფანჯრებიდან. გამიკვირდა. ბოლოს ბუნაგებისკენ რომ მივტრიალდი, შვლებს მოვკარ თვალი. მოულოდნელობისაგან გავშტერდი. ბევრნი იყვნენ, პატარები, ლამაზნი და მშვენიერები.

შვლებმაც გაოცებით შემომჰყიტეს თვალები, ერთმანეთსაც გადახედეს, თითქოს წაილაპარაკესო, დაიფრუტუნეს, ტოტებივით გამოჰყვეს კისრები, მოკლე კუდებიც თან გამოაყოლეს და გამოსწიეს ჩემსკენ.

ვატყობდი შვლებს ეშინოდათ, მაგრამ მუსიკის ძალა შიშსაც აკარგვინებდა და მორიდებასაც ავიწყებინებდა.

„სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“, ალბათ ეს გრძნობა ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი. შორიახლოს დადგნენ, დაცქვიტეს ყურები და გიშერივით შავი თვალები შემომანათეს. მაგრამ დაკვრა შევწყვიტე თუ არა, მაშინვე დაიფრუტუნეს, შეტრიალდნენ და მოკურცხლეს.

ირგვლივ მიმოვიხედე. ეზოში არავინ იყო, შვლებიც აღარა ჩანდნენ. მაგრამ ვიოლინო კიდევ დავუკარ თუ არა, შვლებიც გამოჩნდნენ და ისევ ჩემსკენ წამოვიდნენ. ახლა უფრო ახლოს მოვიდნენ და უფრო ნდობით მისმენდნენ, მაგრამ გავათავე თუ

არა დაკვრა, დაფრთხნენ და კიდევ მოჰკურცხლეს თავიანთ ბუნაგებისაკენ. მესამედ, დაკვრაზე, შვლები კიდევ უფრო ახლოს მოვიდნენ და უფრო უშიშრად გარშემომერტყნენ.

ამ სურათს რომ ვუცქერდი, შვლები პირუტყვებად კი არ მეჩვენებოდნენ, არამედ ბავშვებად, რომლებიც ეზოდან ეზოში სულ უკან დამდევდნენ ხოლმე. ამ გრძნობითვე ვუკრავდი მეც მათ შორის.

უცბათ ერთ შველს თვალზე ცრემლი შევნიშნე. ცრემლი ჩამოჰგორდა თვალიდან და ლოყის მოკლე ბალანში ჩაიკარგა. მეორე შველმა კი დაიგრძელა კისერი, მისწვდა პირველს და ლოყასა და თვალზე ცრემლი ამოულოკა. შემდეგ კისერზე კისერი გადააჭდო და ასე შემომცქეროდა.

ამ დროს მესამე შველმაც ჯერ წინა ფეხებით ჩაიჩოქა, მერე უკანათი, დაღუნა თავი და მილულა თვალები.

— აჰა, მოდი და თქვენ ამათ პირუტყვები უთხარით! ეს ლამაზები როგორ ადამიანებივით უსმენენ მშვენიერ ხმათა ჟღერას! — ვამბობდი ჩემს გულში.

რას განიცდიდნენ, ნეტავ, მუსიკით შვლები? შეგვიძლია ვთქვათ?

გამორკვევა აქ მხოლოდ იმისი შეიძლებოდა, თუ მუსიკა თვითეულ მათგანზე რა ხანგრძლივობით მოქმედებდა.

ეს ისე უნდა გამომერკვია, რომ დამეკრა კიდეც და თან შვლებთან სულ ახლოს მივსულიყავ. ამის საშუალებას ვიოლინის ტექნიკა მაძლევდა, ხოლო ფრთხილად უნდა მოვქცეულიყავ.

მელოდია რომ დავამთავრე, ხემი (სმიჩოკი) ერთ ლარზე შევაჩერე და ლარებს მარტო მარცხენა ხელის თითები (პიჩიკატო) გავკარ-გამოვკარ. შეჩერებული ხემი მარჯვენა ხელით ნელ-ნელა ჩამოვაცურებ-ში აბრეშუმის დაწნულ სარტყელში ისარივით ჩავიკარპაჭე. ახლა მარჯვენა ხელი თავისუფალი მქონდა, მაგრამ, რომ ამ ხელით მახლობელ შველს მივწვდომოდი, უნდა ფეხის ქუსლების და ფეხის თითების მიწევმოწევით შველსაც მივვახლოებოდი. ესეც შვლების შეუმჩნევლად მოვახერხე. ფრთხილად, ნელ-ნელა წავიღე ხელი და შვლის ბალანს შევახე. კიდევ წავიღე ხელი და ალერსიანად ტანსაც შევეხე, კისრისკენაც მივუსვ-მოვუსვი. შველს ეს ალერსიც ესიამოვნა და თვითონაც მოიწევდა ჩემსკენ, რომ უფრო კარგად მომეალერსნა.

მეც გავთამამდი. წავიღე ხელი, წავიღე, წავიღე, ამოვხვიე კისერში და რომ ამოვწიე კიდეც ტუჩებისკენ, რათა თვალებში მეკოცნა, ვიღაცამ უკან მაგრა გამწია და შველი ხელიდან გამაგდებინა.

შევხტი, მივტრიალდი და გაქნეული ხელი შიგ ცხვირ-პირში მოხვდა გასაქრობ შვეიცარიულ თეთრ თხას, რომელსაც, თურმე, საიდანღაც დავუნახივარ. მომპარვია, მისწვდომია ჩემს ახალთახალ აბრეშუმის თხელ თეთრ ხალათს, მისი ბოლო ჩაუჩრია პირში და არხეინად ლოღნიდა.

ხელის მოხვევრის დროს თავი გაჰკრა თხამ, ჩამომახია ხალათის ბოლო და თეთრი ბაირაღივით წააფრიალა.

გული მატკინა ამ შემთხვევამ. ვბრაზობდი იმ სამგლე თხაზე, რომელმაც ასე მოულოდნელად შემაწყვეტინა შველებთან ალერსი.

ილიკო ქურხული

ნახ. მ. დაუშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

კროსვორდი



ქვემოდ ჩამოთვლილი კითხვების მიხედვით ჩასწერეთ თითოეულ უჯრედში თითო ასო ისე, რომ ვერტიკალური მიმართულებებით წაიკითხოთ ცხრა სიტყვა. იმ ასოებიდან, რომლებიც მოხვდება პატარა უჯრედებში, მივიღებთ ორ სიტყვას, რომელსაც მუდამ სიხარულით ვეგებებით.

1. გარეული ცხოველი, 2. ხილი, 3. მტაცებელი ფრინველი, 4. ზამთრის ნალექი, 5. სურნელოვანი ყვავილი, 6. სასმისი ლხინის დროს, 7. შინაური ცხოველი, 8. პატარა დროშა, 9. ძველი სასროლი იარაღი.

შეადგინა **რ. თავდიდიშვილმა**

გამოცანები

1. ფოთლები ბევრი მასხია,
არც ბუჩქსა ვგავარ, არც ხესა;
ვინც ყურადღებით დამფურცლავს,
მოიმკის, რაც სხვამ დათესა.

2. არ ვჩანვარ, ლონე დიდი მაქვს,
ბნელს ვფანტავ, ბორბლებს ვაბრუნებ;
წყლითა ვსაზრდოობ, თუ არ მაქვს,
ნახშირსაც შევახრამუნებ.

დ. ძეძამიძე

№ 11-ში მოთავსებული გამოცანის პასუხი: **დრო.**

შინაარსი

საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობა
გარეკანის მე-2 გვ.
ვ. თორდუა — 5 დეკემბერი 1
გ. აბაშიძე — ზამთარი ბაკურიანში (ლექსი) 3
ი. ინასარი — დედა (ნამდვილი ამბავი) 4
ვ. ფურული — რუსთაველის ჭადარი (ლექსი) 6
ვ. ჩკალოვის შეხვედრა სტალინთან 7
კ. გოგიაშვილი — ძიამ ბოჩოლა მაჩუქა (ლექსი) 7
დ. შამათავა — ურეკუმში 8
ვ. კაჭახიძე — ბუხარი და გაკვეთილი (ლექსი) 10
ვ. იავორსკი — ბოროტი გულისთქმა (მოთხრობა თარგმანი **შ. გვინჩიძისა**) 11
ა. ლომიძე — მონადირე (მოთხრობა) 13
ბ. ბეთანელი — შიო მღვიმელი 14
მ. ლეფავა — და-ძმა (მოთხრობა) 15
მ. ქორელი — ლადო მესხიშვილი და ახალგაზრდობა (მოგონება) 19
ა. ონელი — ბეჯითი გელა (ლექსი) 21
გ. პაპიაშვილი — ვალოდია რიბალევსკი (პიესა ერთ მოქმედებად) 22
მ. ჯინჭველაშვილი — კუტუზოვი 25
ს. მიხალკოვი — საშინელი ამბავი (ლექსი. გადმოკეთებული **დ. გაჩეჩილაძის** მიერ) 27
ქ. კორაშვილი — ფუტკარი 28
ი. ჭურხული — მუსიკა და შველი (მოხეტიალე მუსიკოსის ჩანაწერებიდან) 30
გასართობი 32

გარეკანის მხატვრობა შესრულებულია მხატვარ **ირ. რაზმაძის** მიერ

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ქაჯაიძე
სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. **ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ა. გიგოლაშვილი** (სამხატვრო რედაქტორი), **ვ. ვარდიაშვილი,** პროფ. **გ. თავზიშვილი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 17977 ტირაჟი 7000 **გამომცემლობის** შეკვ. № 129 **სტამბის** შეკვ. № 1664
ლ. პ. **ბერიას** სახელობის **პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის** ქ. № 14.
ჟურნალის გარეკანი **დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“** ოფსეტ-**მანქანაზე.**

თავშესაფარი იპოვეს

საბერძნეთში კვლავ გრძელდება სამოქალაქო ომი. ბრძოლა მიმდინარეობს მონარქისტებსა და დემოკრატიულ ძალებს შორის. ეს უკანასკნელნი იბრძვიან მეფის მძიმე უღლისაგან ბერძენი ხალხის გასანთავისუფლებლად. მონარქისტები — მეფისა და ფაშისტების მომხრენი კი ცდილობენ შეინარჩუნონ ძალა-უფლება და კვლავ დამონებული ჰყავდეთ ბერძენი ხალხი. ისინი არ ინდობენ არა მარტო გმირ ბერძენ პარტიზანებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას და პატარა ბავშვებსაც კი.

მეფის არმიას ამერიკელი კაპიტალისტები ამარაგებენ ყუმბარებით. ამ ყუმბარებს ფაშისტი ბარბაროსები აყრიან მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. მრავალი ათასი ბერძენი ბავშვი დაიღუპა ასეთი ავაზაკური დაბომბვის შედეგად.

თავისუფალი საბერძნეთის დემოკრატიულმა მთავრობამ, რომლის სათავეში გენერალი მარკოსი დგას, იზრუნა ბერძენი ბავშვების გადასარჩენად. ამ მთავრობის თხოვნით მეზობელმა დემოკრატიულმა ქვეყნებმა — ბულგარეთმა, რუმინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ალბანეთმა, იუგოსლავიამ — შეიფარეს ათასობით ბერძენი ბავშვი.

როდესაც ბერძენი ბავშვები ამ დემოკრატიულ ქვეყნებში ჩავიდნენ, ისინი გამხდრები იყვნენ, ჰქონდათ გაწამებული სახეები, მაგრამ მათ მისცეს მსუყე, გემრიელი საუზმე, დაურიგეს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი და დააბინავეს კეთილმოწყობილ სახლებში.

რუმინეთში ბერძენ ბავშვებს მიეცეს საუკეთესო სახლი და სასახლე ქალაქ ბუქარესტის მიდამოებში და დიდი, ლამაზად მორთული სასტუმრო სინაია.

ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა ისე შეხვდა უცხოელ ბავშვებს, როგორც ღვიძლ შვილებს. მათთვის მოაწყეს სკოლები, რომლებშიც ბერძენი ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენაზე. საბერძნეთის ამ ნორჩ მოქალაქეებზე განსაკუთრებული მგრძნობიარედ ზრუნავენ ჩეხოსლოვაკელი ახალგაზრდები— გოგონები და ვაჟები. ქალაქ დაჩიცში ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის წევრებმა გადასწყვიტეს პატარა ბერძნებისათვის ეშოვნათ ხილი. რადგან მათი რაიონი ბაღებით ღარიბია, დახმარება სთხოვეს ქალაქ ჩასლოვის კავშირის წევრებს. რამდენიმე დღის შემდეგ ბერძენმა ბავშვებმა ქალაქ ჩასლოვიდან მიიღეს ყუთებით ხილი.

საბერძნეთის ნორჩი მოქალაქეები ალბანეთიდან გენერალ მარკოსს სწერენ: „ალბანელები ძალიან კარგად გვივლიან... გისურვებთ, მალე გაიმარჯვოთ ჩვენს მტრებზე!“.

ბერძენმა ბავშვებმა იპოვეს თავშესაფარი, მაგრამ მათი ოცნებაა, მალე მთლიანად განთავისუფლდეს საბერძნეთი მონობის უღლისაგან და თავისუფალ სამშობლოში სიხარულით დაბრუნდნენ.



ხეოპსის პირამიდის ნგრევა

ეგვიპტის პირამიდებს შორის ფარაონ ხეოპსის პირამიდა ყველაზე დიდია. იგი ამენებულია 4.500 წლის წინათ. მისი მოცულობა 2,7 მილიონი კუბიკური მეტრი იყო, სიმაღლე კი—170 მეტრი. 100 ათასი მონა ოცი წლის განმავლობაში ამენებდა ამ გიგანტურ ძეგლს.

24 საუკუნის წინათ ბერძენმა სწავლულმა ჰეროდოტემ გაზომა ეს გიგანტური ნაგებობა. ძლიერ გაუკვირდა, როცა პირამიდის სიმაღლე 147 მეტრი აღმოჩნდა. ჰეროდოტე დარწმუნდა, რომ პირამიდის მშენებელი ეგვიპტელები პირამიდის გაზომვაში შეცდნენ.

ნამდვილად კი ეგვიპტელები არ შემცდარან. პირამიდის სიმაღლე შემცირდა ბუნების ძალების — ქარის, მზისა და წყლის ზემოქმედების გამო.

რამოდენიმე წლის წინათ ინგლისელმა სწავლულებმა ხელახლად გაზომეს ხეოპსის პირამიდის სიმაღლე. სავსებით ზუსტმა ინსტრუმენტებმა აჩვენეს 139 მეტრი. ხეოპსის პირამიდის სიმაღლე კიდევ შემცირებულა 8 მეტრით.

ამგვარად ბუნება თანდათანობით ქვიშადა და ღორღად ქცევა ეგვიპტის ამ უზარმაზარ პირამიდას.

3. 33/5
ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩუქრები კომკავშირის XVII ყრილობას



ბავშვთა ცენტრალური ტექნიკური სადგურის ნორჩმა ტექნიკოსებმა თბილისის ვაჟთა 16-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე **გივი ნიკოლაიშვილმა** (მარცხნივ) და ვაჟთა 15-ე საშუალო სკოლის 10-ე კლასის მოსწავლე **კახი როსებაშვილმა** ყრილობას მიუძღვნეს მათ მიერ შესრულებული მაკეტი სახლისა, რომელშიც დაიბადა დიდი სტალინი.

თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე კომკავშირელი **მერაბ მერაბიშვილი** ბორის ძნელაძის ბიუსტზე მუშაობის დროს.

თავისი ნაშუშევარი - ახალგაზრდა მოქანდაკემ საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობას მიუძღვნა.



კომკავშირელების მიერ შესრულებული თვითმფრინავის მაკეტი, მიძღვნილი ყრილობისადმი.